წელიწადი 1911 პირველი

ორშაბათი, 6 ივნისი № 22

# თემი

ორშაბათი, 6 ივნისი № 22

ფასი გაზეთისა წლიურათ—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—2 მან 3 თვით—1 მან.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს —20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 12 საათამდის რედაქციაში (Головинскій просп. д. МИРЗОЕВА, № 22. ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.



მიიღება ხელის მოწერა

1911 წლისათვის

გაზეთ თემზე

ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| წლიურათ | 2 მ. 50 კ. |
| ნახევარი წლით | 2 მ. |
| სამი თვით | 1 მ. |

განცხადებათა ფასი:

| | |
|---|---|
| პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი | 15 კ. |
| უკანასკნელ გვერდზე | 10 კ. |
| ტექსტის შუაგულს | 20 კ. |
| სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა | 3 მ. |

რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: Головин. пр. д. МИРЗОЕВА, 22, гдѣ книжный магазинъ „Новая Рѣчь".



Адресъ телеграммъ SANITAS

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

ვისაც სურს, რომ კარგად და ლამაზად ჰქონდეს შენახული სახლი, ავეჯი, შინაური ნივთები, კიბეები, სკამები მოაჯირები, ეტლები, ნოხები და სხვა, მან უნდა უსათუოდ შეიძინოს

ფერადი

რიპოლინი

დარიგება ურიგდება ყველას უფასოდ



ხელოვნური კბილები

გაკეთება ხელოვნური კბილებისა ოქროზე, კაუჩუკზე, ხელოვნურ სასაზე და უსასაოდაც, აგრეთვე სოლებით დამაგრებულ ფესვებზე. ჰია ნაჭამ გაწმენდილ კბილებზე ოქროს ანუ ფაიფურის ხელოვნური კბილების ჩამოცმა. წინა კბილების და ლოჯების გასწორება სრულებით უტკივრად.

კონსტანტინე ქავთარაძე.

მიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

მუხრანიანთ ქუჩა, სახლი № 5.



ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის

ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12½-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა, შინაგანი ავად. 11½—12 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოვ. დღე კვირის გარდა 1—2. ქირურგ. და ქალებ. სნეულ.

შ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე 1—2 ს. შინაგ. დაბავშვ.

გ. ვ. სოგოლევსკი—ყოვ. დღე კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

წამლობა „606"-ით



რესტორანი

„კაფე-პარიზი"

ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჟკები" სხვა და სხვ. ბუტერბროდები, ხაჭაპური.

საუზმე პორციობით 25 კ.—50 კაპეიკამდე.

სადილები: 2 ფერი—50 კ. 3 ფერი—70 კ. 4 ფერი—1 მან

მინერალური წყლები

ღვინო, არაყი, მაგარი სასმელები სხვა და სხვა ქარხნების ლუდი ბოთლებით და ჭიქებით.

ცხელი პორციები, წვენი, შემწვარი. შეიძლება საჭმელების მოთხოვნა ცალკე კარტითაც. თვიურად შეღავათიანი პირობებია. ფასი ზომიერია. სრული სისუფთავე წესიერება.

პატივის-ცემით თოფურია.



დაარსებულია 1904 წელს.

4.400 ფუტის სიმაღლე.

სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი

ექ. ვახტანგ დ. ლამბაშიძისა „პატარა-ცემში" ბაკურიანის რკინის გზაზედ

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, 8—15 წლამდე. 15 თიბათვიდგან 31 მარიამობისთვემდე.

მიიღება: დაღლილი, დაქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, სისხლ ნაკლები, ჯაობის ციებით დაავადებული და სხვ., ვისაც ესაჭიროება ჰაერის გამოცვლა, დასვენება და სხეულის გამაგრება.

ფიქენარი, დასვენება, საზრდოობა დღეში ხუთჯერ, წყლით ექიმობა, ვარჯიშობა, გასართობი მუშაობა, სეირნობა, მოგზაურობა და სხვ.

დაწვრილებით ცნობების შესატყობად მსურველთ უნდა მიმართონ ექ. ვ. ლამბაშიძეს წერილით ბორჯომს.

არის რამდენიმე ოთახი დიდებისთვისაც.



დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

საქართველოს სიძველენი ტ. III

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა,

ე. ს. თაყაიშვილის რედაქტორობით.

ფასი 3 მან. 50 კ.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებს, რომელთაც 1910 წლის საწევრო გარდასახადი შემოტანი აქვსთ ეს წიგნი უსასყიდლოდ მიერთმევათ წ.-კ. გამ. საზოგადოების კანცელარიაში.



12 ივნისიდან ქ. ქუთაისში გამოვა ყოველ-კვირეული გაზეთი

„კოოპერაცია"

პროგრამმა: 1) მოწინავე წერილები კოოპერატიულ ეკონომიურ საკითხებზე, 2) წერილები მუნიციპალურ საქმეებზე, 3) კორესპონდენციები კოოპერატიულ ამხანაგობებზე (კოოპერატიული ცხოვრება) 4) კოოპერატიული მოღვაწეთა ბიოგრაფია (სურათებით) და 5) მოკლე მიმოხილვა მიმდინარე საზოგადო-ეკონომიურ ცხოვრებისა.

გაზეთის ფასი: წლიურათ ქ. ქუთაისში 2 მ. 25 კ. ქუთაისს გარეთ 2 მ. 50 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან თითო შაური.



ექიმი

გ. ფ. ნათიშვილი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

დილით 11 ნახ. ს.—1 ს. საღამ. 7—8 ს.

ადრესი: მონუმენტის შესახვევი № 5. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი 487.



ექიმი

რ. ს. დავთიანი.

შინაგანი და ნერვების ავადმყოფობა.

დილით 12—1 ს.

საღამოთი 5—7 ს.

კოჩუბეევის ქუჩა, № 22



კბილის ექიმი

ნინა გ. ხელიძე

იღებს ავათმყოფებს დილის 9 ს.—2-მდე. საღამოს 5 ს.—7-მდე. ღარიბებს და უმუშევრებს ხელმისაწვდენ ფასებში.

კირხის ქუჩა, სახლი № 34.


## ტფილისი, 6 ივნისი.

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის კრება დამთავრდა. ეს სესია მეტად საყურადღებო იყო. თითქმის ყველა საკითხი წინდაწინვე შესწავლილი ჰქონდათ რწმუნებულთ და ამიტომ არ ჩერდებოდნენ დიდხანს მის განხილვაზე. მწყობრი დალაგებული მსჯელობა იყო გამეფებული. ერთის მხრით ეს იმის ბრალია, რომ შარშანდელივით წლეულსაც შესდგა რწმუნებულთა ჯგუფი, რომელმაც გადასწყვიტა ერთხელვე მიუდგომლად შეესწავლა საქმეები და ისე მიეღო მონაწილეობა კრებაში. მართლაც, ამ ჯგუფმა საკმაო მუშაობა გასწია განვლილ სესიის დროს როგორც საკითხების გარჩევაში, ისე არჩევნების მოწყობაში. მეორეს მხრით მწყობრ მსჯელობას ხელი შეუწყო კრების თავმჯდომარემ ბ. გიორგი ჟურულმა რომელიც ხელოვანი და ყოვლად მიუდგომელი თავმჯდომარე აღმოჩნდა. ამის წყალობით კრება მალეც დამთავრდა და საქმეებიც ყველა დაწვრილებით გაირჩა.

ერთი შევნიშნეთ მხოლოდ, რომ ანგარიშის განსახილველად ჯგუფმა ვერ წარმოადგინა მცოდნე კრიტიკოსი. ჩვენის აზრით ანგარიშის განხილვას უფრო მეტი ყურადღება და გარჩევა სჭირია ხოლმე. ეს საკითხი მეტად სწრაფად იყო განხილული ჩვეულებრივად. იმედია შემდეგში მაინც ჯგუფი მიაქცევს ჯეროვანს ყურადღებას ამ გარემოებას.

ჩვენ ყოველთვის აღგვინიშნავს ამგვარ მმართველ წრის საჭიროება ჩვენი საზოგადო საკულტურო საქმეების მოწყობასა და გაძღოლაში.

სასურველია მხოლოდ, რომ ეს ჯგუფი ისე მოიქცეს, რომ კრიტიკის გზას არ ასცდეს. ამიტომ საჭიროა, რომ თავის წრიდან არ წამოაყენოს კანდიდატები სხვა და სხვა თანამდებობაზე. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. პირიქით ჩვენ ეს მის უსაჭიროეს მოვალეობად მიგვაჩნია. მხოლოდ ჩვენ გვსურს, რომ ჯგუფი საზოგადოდ უნდა ეცადოს კანდიდატები გამოძებნოს თავის წრის გარედ და თუ ვერ მოსძებნის, მაშინ მხოლოდ შეჩერდეს თავისიანებზე. ამგვარი ქცევა მოუპოვებს მას საზოგადოების ნდობას. სწორედ ამგვარმა მიუდგომელმა კრიტიკამ და ქცევამ მოუპოვა ჯგუფს ნდობა. ამ ნდობის ბრალია, რომ საშინლად დამარცხდა ის წრე, რომელიც არად აგდებს ქართველ ინტელიგენციის ღალადს. დამარცხება დიდი იყო და სწორედ ამით აიხსნება არეული ლაპარაკი გაზ. „ზაკავკაზიეს" მებაირახტრისა. რაც უნდა ცილი დასწამონ პატიოსან მოღვაწეებს, რომელნიც შეადგენენ ჯგუფს, იმათ მაინც ვერ გაუტეხენ საიოგადოების თვალში სახელს, რადგანაც ისინი ნათლიმამობით, წრეობით ან პარტიობით არ ხელმძღვანელობენ. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ, რომ სრულებით უაგიტაციოდ დანარჩენი რწმუნებულნი, ჯგუფს გარეშე მყოფნი, მასთან ერთად ხმას აძლევდენ. აი ეს აშინებს ყველა იმათ, ვისთვისაც წყლის ამღვრევა ხელ-საყრელია. წრემ, რომელსაც მეთაურობს მიხ. მაჩაბელი, სრულებით გაიტეხა სახელი. ეს იქიდან სჩანს, რომ ყველა მისი წრის წევრს წილად ხვდა საშინელი დამარცხება. აიღეთ, მაგალითად, კანდიდატურა ვლადიმერ ვაჩნაძისა, დიმიტრი ჩოლოყაშვილისა. განა ამათი გაშავება მიეწერება მათ პირადობის თვისებებს? არასოდეს. ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ რწმუნებულები ნდობით აღარ უყურებენ იმ წრეს, რომლის წევრებათ ისინი ითვლებიან. ვლადიმერ ვაჩნაძის და დიმიტრი ჩოლოყაშვილისთანა პირები უნდა მიხვდენ, რომ აღარ შეიძლება ამნაირად საქმეების წაყვანა. ჰაერის გაწმენდაა საჭირო. უნდა მოვაშოროთ საზოგადო საქმეს ისეთი ელემენტები, რომელნიც საპირადო საქმეს მისდევენ, სახელი ამ მხრით ერთხელვე გაჰფუჭებიათ და ახლა სხვა პატიოსან მოღვაწეთაც უფუჭებენ თავის ურიგო ქცევით. მხოლოდ ასეთი განცალკევება, იზოლაცია ამგვარ პირებისა მოიტანს სასურველ და სასარგებლო ნაყოფს.

ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველას იზრუნონ მომავალზე. ვლადიმერ ვაჩნაძისა და დიმიტრი ჩოლოყაშვილისთანა ელემენტები უნდა ერთხელვე მოშორდენ იმ წრეს, რომლის მეთაურად გამოდის მიხ. მაჩაბელი, კაცი ყოვლად უპრინციპო და მიდგომით მომქმედი.

ჩვენ ვიწუნებთ მას, როგორც საზოგადო საქმეების ხელმძღვანელს. სადაც კი იგი მოქმედობს, ყველგან შეაქვს უცნაური საწამლავი, რომელიც ჰღუპავს საქმეს. ნუ თუ ვერ ხედვენ მისი თანამომქმედნი, რა ღვაწლი და რა მეგობრობა გაუწია მან უბედურად დაკარგულ ჩვენს დაუვიწყარ მოღვაწეს ივანე მაჩაბელს, რომ მან ახლანდელებს ხეირი რაიმე დააყაროს!

სწორედ ამისვე ბრალია, რომ დღეს სათავად-აზნაურო საქმეების სფერაშიაც საშინელი განხეთქილება სუფევს. საზოგადოება ორ ბანაკად არის გაყოფილი. საუბედუროდ ახლად გამოსული საზოგადო სარბიელზე ახალგაზრდობაც ჩათრეულია ამ უკუღმართ და უსიამოვნო ბრძოლაში. ისეთი შთაბეჭდილება აქვს ყველა ამას, თითქო ამ ახალგაზრდებმა, რომელნიც სათავად-აზნაურო დაწესებულებაში მუშაობენ, ელ-ფერი იცვალეს და აგრარიების დამცველებად გამოდიანო.

ამ ატმოსფერის გასაწმენდადაც საჭიროა მუშაობა. ჩვენის აზრით საბანკო მოღვაწეთა ჯგუფი მომაკვდინებელ ცოდვას ჩაიდენს, თუ იგი არ მიიღებს მონაწილეობას როგორც სათავად-აზნაურო, ისე სასკოლო საქმეებში. რასაკვირველია ამ სფერაში საქმიანობა უფრო ძნელია, რადგანაც აქ მაღალი ცენზით შეჭურვილები მოქმედებენ, რომელზედაც არა აქვს ისეთი გავლენა ჩვენს ინტელიგენციას. მაგრამ აქაც საიმედოა ბრძოლა. აქაც საჭიროა მშვიდობიანი და მწყობრი მოქმედება. რასაკვირველია, ჩვენ რომ საქმე გვქონოდა იმისთანა პირებთან, რომელნიც საზოგადო საქმეს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე საპირადოს, მაშინ ჩვენ ვიხილავდით უკეთესს სურათს. მთელი პრეზიდიუმი გადადგებოდა, რაკი დაინახავდა ცხადად, რომ მან განხეთქილება შეიტანა საზოგადოებაში. ვინც ეკუთვნიან იმ პირების კათეგორიას, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ შესაძლებელია სათავად-აზნაურო დაწესებულების დღევანდელ მეთაურებთან საერთო საქმიანობა, ისინიც კი დარწმუნდენ უკანასკნელ მოქმედების შემდეგ რომ მათთან მუშაობა არ შეიძლება.

ეს მეთაურები ჰმართავენ საქმეებს ახლა სწორედ საზოგადოებრივი აზრის წინაღმდეგ. თუ უნდათ დარწმუნდნენ ამაში, აბა მთელმა პრეზიდიუმმა დააყენოს საზოგადო კრებაში ეგრედ წოდებული ნდობის საკითხი, მხოლოდ, რასაკვირველია, არა მარტო მაღალცენზიანების წინ, არამედ დაბალ-ცენზიანების წინაშედაც. ჩვენ ცხადად დავინახავთ, მაშინ, თუ რა მოიხვეჭეს სასახელო ამ პირებმა.

რაც გაკეთებული იყო ნიჭიერ დავით მელიქიშვილის დროს ის ყველაფერი ახლა გაფუჭებულია. მიმოიხედეთ ვის ჰკრეფენ გარეშემო ესენი. ყველა იმას, ვინც რასმე მოელის მათგან, ან იმისთანა ახალგაზდებს, რომელნიც ვერ გარკვეულან, ვერ მიმხვდარან თუ რა სახიფათო ქსელია გაბმული მათთვის.

ასეთი ნაყოფი აქვს დღევანდელ მოღვაწეობას თავ. გიორგი ბაგრატიონ-დავითიშვილისა და მიხ. მაჩაბლისას. ესენი არიან შემქმნელნი დღევანდელი სათავად-აზნაურო საქმეების მსვლელობის გეგმისა. სათავად-აზნაურო საკრებულოში არიან ისეთებიც, რომელნიც ამ გეგმას არ თანაუგრძნობენ, მაგრამ მათ რაღაც უცნაური გულ-გრილობა ეტყობათ. დღემდის ვერ გამოუჩენიათ ვერც კრიტიკის უნარი, ვერც საოპოზიციო მოქმედება.

დიაღ, საჭიროა ჩვენი საზოგადოების მხრით მიექცეს ამ სათავად-აზნაურო საქმეებს ჯეროვანი ყურადღება და მწყობრი მშვიდობიანი ოპოზიცია შეიქმნეს. ეს გასწმენდს მხოლოდ ჰაერს. ამის შესრულება ძალუძს მხოლოდ უანგარო მიუდგომელ მოღვაწეთა გუნდს. ნუ თუ ეს გუნდი არ შესდგება ამ სათავად-აზნაურო საქმეების სფერაშიაც? არ უნდა აშინებდეს მათ არც ლანძღვა-თრევა, არც ცილის-წამება... ვისაც ამისთანა რამისა ეშინია, ის არც უნდა გამოდიოდეს საზოგადო სარბიელზე.

ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი სათავად-აზნაურო კრება, 12 თიბათვეს მოწვეული!..

## ირანის მდგომარეობა.

(მიმოხილვა).

. საშინელ კრიზისს განიცდის ჩვენი მეზობელი ირანი. თითქოს ჯერ სცოცხლობს ზარატუსტრას სარწმუნოების აჰრიმანი და სიავკაცე—ბოროტებას სთესავს მთელს სპარსეთში.

საუკეთესო ცხოვრების იმედით გამსჭვალულმა სპარსეთის ხალხმა კონსტიტუცია მოიპოვა, რომელიც დღეს სამწუხაროდ იმყოფება უღირს ადამიანთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ხელში. მთელს ირანში დამყარდა ქაოსი. სისხლი უსაზღვროდ იღვრება. ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, მაკუდან შირაზამდე მთელი სპარსეთი ირყევა აჯანყების და რეაქციის ქარიშხლისაგან. ძარცვა, გლეჯა, მკვლელობა ხშირი მოვლენაა ამ ჟამად შაჰინშაჰების საცოდავ ქვეყანაში.

ყველა ეს თითქოს საკმარისი არ იყო. ახლა კიდევ კაშხაინების და ბახტიარების შუა დიდი განხეთქილება მომხდარა. ამ გარემოებას უეჭველია შედეგად მოჰყვება საშინელი სისხლის ღვრა, ხოცვა-ჟლეტა. თეირანში მინისტრები ინტრიგების ქსელში გაებნენ. ხან ერთი სტოვებს თავის თანამდებობას ხან მეორე.

რა თქმა უნდა, ამ გვარი სამწუხარო და კრიტიკული მდგომარეობა საშინლად აშინებს ყველას, ვისთვის უძვირფასესია კონსტიტუციური წეს-წყობილების დამყარება სპარსეთში. მარალის მბრძანებელი შუჯა-უდ-დოულე უყურადღებოდ სტოვებს სხვა და სხვა თეირანის განკარგულებას, ქურდისტანი ჰღელავს, მაკუს სარდარი იჭერს მაკუში არსებულ სომხების მონასტერს, ვითომდა შვილის საქორწილოდ, ფაქტიურად კი იწვევს მონარქისტებს სათათბიროდ.

ყველა ამას თუ მიუმატებთ გარეშე ინტრიგებს, რომელთა მიზანია ირანის დანაწილება, მაშინ სურათი უფრო მთლიანი შეიქმნება. მეჯლისი სრულიად დაუძლურებულია და ნაყოფიერად ვერ მუშაობს, ვინაიდან გამეფებულ „ითიდალიუნის“ (ზომიერი) პარტიას, რომელიც შეერთებულია ითთიფაკ ვე თერაქქის“ და „დაშნაკციუთიუნის“ პარტიებთან, ქვეყანა მიჰყავს რეაქციისაკენ.

მეჯლისის ოპოზიცია, ე. ი. დემოკრატიული პარტია, რომელიც შესდგება თავისუფალ მოაზრეთაგან, ჰნჩაკისტებისაგან და „იჯდიმაიუნე“ ამიუნის წევრებისაგან (ს.-დ.) თუმცა, სცდილობს ირანის ფეხზე დაყენებას და იცავს გაძვალტყავებულ ხალხის ინტერესებს, მაგრამ ყველა ეს ცდა ამაოა, რადგანაც შინაგანი და გარეშე მტრები ძლიერნი არიან.

ამ ბოლოს დროს შესდგა ერთი ჯგუფიც, სახელად „ანჯუმანე ისლამიე,“ რომელიც სრულიად წინააღმდეგია კონსტიტუციისა, შესდგება კლერიკალებისა და მსხვილ მემამულეებისაგან.

„ითიდალიუნიც“ შემდგარია უმაღლეს სამღვდელო პირებისა და მსხვილ მემამულეებისაგან. მას ეკუთვნიან აწინდელი მთავრობის წევრნი, გილანის, მაზანდარანის, ლორისტანის მემამულენი, ნეჯეფის და ხორასანის სამღვდელოების წევრნი. ყველა ამ პარტიებს აქვთ თავიანთი ორგანოები, რომელნიც გამოდიან სპარსეთის სხვა და სხვა ქალაქებში.

სხვათა შორის, სომხურს ენაზედ თავრიზში იბეჭდება ორი სომხური გაზეთი, ერთი მათგანი „არავოტია“ (დილა), რომელიც დაშნაკცაკანების ორგანოა და მეორე „ზანგი“ (ზარი), რომელიც უკიდურეს მემარცხენეთა ორგანოა.

„ითიდალიუნის“ და „ანჯუმანე ისლამიეს“ წყალობით სპარსეთში და განსაკუთრებით თეირანში არ არსებობს პრესის, სიტყვის, კრებების თავისუფლება. პოლიციას შეუძლიან ჩაიდინოს, რასაც კი მოისურვებს. ხმა დადის, ვითომ აწინდელი მეჯლისი უნდა გაჰყარონ, რომ მერე უფრო რეაქციონური მოიწვიონ. თუმცა სპარსეთის რეგენტი კონსტიტუციონალისტია და ექვემდებარება მეჯლისის გადაწყვეტილებას, მაგრამ იგი იმდენად სუსტი ხასიათის პატრონია, რომ კარგს ვერეფერს აკეთებს ქვეყნისათვის, ამასთანავე მას უშლის ხელს შინაური ინტრიგები.

ერთის სიტყვით ირანში სასიხარულო არაფერია, იმის მდგომარეობა დღითი დღე უფრო კრიტიკული ჰხდება. ამით სარგებლობენ ბნელი ძალები და ქვეყანას სამუდამოდ ჰღუპავენ.

ამნაირად სპარსეთის პოლიტიკური სფერა სავსეა საშიშარის ელემენტებით. სასიკეთო არაფერი მოელის ამ ქვეყანას თუ რომ მეჯლისის და მთავრობის გულშემატკივარმა ძალებმა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი საშუალებანი არ მოსძებნეს...

**არტემიუს.**

## ნ ა დ უ ღ ი.

ორმოც კოკიანი ჭური.
ცარიელი კაცმა ნახა;
რაც ჩასძახა, მოვკარ ყური,
რომ ჭურმაც ის ამოსძახა...

მე მაშინვე მომაგონდენ
ზოგიერთი ყმაწვილები:
რასაც კი გაიგონებენ,
ჰყვირიან დალოცვილები!!

მაშინ გრამოფონი არ იყო გამოგონილი და მიტომ მივმართე ჭურს. მას აქეთ დიდმა ხანმა გაიარა... მაშინ მე არც წვერი მქონებია და არც ულვაში. ახლად შევდიოდი ცხოვრების ბაღში. ახლა კი როცა ნახევარ საუკუნეზე მეტმა გაიარა და მეც ღრმა სიბერემდი მიწეული დღითი დღე ველი სოფლის გამოთხოვებას, დღესაც კიდევ ისევ ძველ ნათქვამს გავიმეორებ, რაც მაშინ მითქვამს. მხოლოდ კი „ჭურის“ მაგიერ „გრამოფონს“ ვიხმარ... და მართლაც, ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ძვირად შევხვედრივარ მისთანა ქართველ-ინტელიგენტს, რომ გრამოფონის სუნი არ უდიოდეს. ბევრ კარგ რამეს ამბობენ, მაგრამ უსულგულოდ!.. ის მხოლოდ ამოძახილია სხვისი ჩანაძახის და თავადი, ესე იგი, თავისთაობითი არა ეტყობა-რა, თუმცა ქართველ ახალგაზდას ნიჭიც დიდი აქვს და სურვილიც, რომ გავითარდეს! მაშ ვისი, ან რისი ბრალია მათი დაბეჩავება? იმ გეგმის, რომელიც ხელს უშლის სწორი გზით მათ სვლას. სწორ გზაზე განძრახვ, თუ შეუგნებლობით წინ ეღობებიან, ეკალნარს უთესენ და გადახვეულს, საუკეთესოს კი ია-ვარდით უფენენ რომ, ერთი ზღაპრის თქმისა არ იყოს, შინ მოიყვანონ. ვარდზე ასკილს მყნიან და ორივეს გამოუსადეგრად ჰხდიან: ვარდი ვარდობასა ჰკარგავს და აღარც ასკილად ვარგია!“

მართლაც, რას წარმოადგენს დღეს ქართველი-ინტელიგენტი? ათავებს მაღალსასწავლებელს, ხელში. უჭირავს მოწმობა, რომ სწავლაო დაასრულა და ჩამოდის ჩვენში სამოქალაქოდ. მაგრამ რა ჰყრია მის მოქალაქეობაში? ავიღოთ იურისტები, იმათ მხოლოდ ორი გზა უდევსთ წინ: საადვოკატო და სჩინოვნიკო. თუ ადვოკატად წავიდა, მხოლოდ თავის ჯიბეს უნდა ემსახუროს და საეროვნოს გვერდი აუაროს!..

ამას წინეთ ერთ ქართველ-ადვოკატს დიახ ნიჭიერს და კარგათაც მომზადებულს, რომელსაც ხანდახან საზოგადოც წასცდება ხოლმე დავეკითხე: რა ამბავია, რომ საზოგადოს აღარაფერს დაეძებ და, თითქოს, განძრახ გაურბი მეთქი და აი რა მიპასუხა; რა ვქნა ჩემო კარგო, საადვოკატო საქმეებს ვუნდები, ველარ ვიცლი და იმ საკუთარ ხელობას თუ თავი დავანებე ულუკმაპუროდ მოვჰკვდებიო! მე მგონია, ეს პასუხი საყოველთაოა ადვოკატებისათვის! მათ ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე ჰკიდიათ! და გულს, თავის ქვეყნისთვის გადაგრილებულს, მხოლოდ და მხოლოდ თავისს საკუთარ კუჭს უმონებენ! — თუ წავიდენ მოსამსახურედ, რაღა უნდა გააკეთონ? ის უნდა აკეთონ, რასაც უბრძანებენ. მოიგონეთ ის ზღაპრული დედინაცვალი, რომელიც საბრალო ობოლ, გერს, პურს არ აჭმევდა, თუ ის ყოველ დღე დედის საფლავს არ გადააფურთხებდა! რას აკეთებენ დოქტორები? მაჯას უსინჯვენ ავადმყოფებს, ენას აყოფებენ და რეცეპტებს სწერენ. საზოგადო საქმისთვის დრო აღარ რჩებათ და თანაგრძნობასაც ველარ ახერხებენ. დაგვრჩენ მხოლოდ ხელში ისინი ვინც არჩევანის წყალობით საზოგადო საქმეებში არიან გაბმული. ამათზე რაღა უნდა ვსთქვა? უკულმართობა!.. ზოგს კუჭი აფართხალებს და ზოგსაც კუდაბზიკობა! ქვეყნის სიყვარული და ერთგულება, არც იმათ აქვსთ შეგნებული... ნახევარ საუკუნეზე მეტია, ეს სურათი მეხატება მე თვალ-წინ. შეიძლება, ეს ყოლიფერი მეჩვენებოდეს და სიმართლეს მოკლებული იყოს, მაგრამ მე კი მაინც გულწრფელად ალვიარებ!.. თუ მაგრეა, რატომ აქამდი გული არ გამტეხია და კიდევ გრწამს ჩვენი ქვეყნის მომავალიო? ეგება მკითხოს ვინმემ და აი რას მოვახსენებ: მეფე სოლომონ პირველი ერთხელ სანადიროდ გავიდა. ავდრიანი დღე იყო. გამოაგდეს კურდღელი და დაადევნეს მწევარ-მეძებარი. საბრალო კურდღელი, სხვა გზით რომ აღარ გაუშვეს, დაადგა ტალახიან გზას, აალქვიტა ყურები და მოჰკურცხლა. სოლომონ მეფემ, რომ დაინახა მისი სიმარდე, ბრძანა ნადირობის მოშლა: ტალახში რომ ეს პატარა კურდღელი ასე მარჯვეთ გარბის, მშრალი რომ იყოს, მაშინ ხომ ერთი ასად უკეთესი სანახავი იქნებოდაო“!

კურდღელი — ხალხია, მწევარ-მეძებარი მისი დაჭერის მსურველი, ტალახიანი გზა — დრო და ვითარება!.. მართალია, დღეს უკუღმართად მიდის ქართველობა, ტალახიან გზას ადგია, მაგრამ მოვა დრო და ბოროტი კეთილად შეიცვლება და ამის ნიშნები თვით დღევანდელ სიცუდეში იხედება, რაშიაც ნიჭია საჭირო. ბევრი ბუნების შვილი მინახავს გაუვითარებელი, მაგრამ გრძნობა-გონებით გაჟღენთილი და მის ნიჭიერებას გაუკვირვებივარ!.. ეგ დაბალ წოდებაში და აბა მაჩვენე იმ მაღალ წოდებაში, რომელმაც ყვავილი და ნაყოფი უნდა გამოიღოსო?! ეგებო, მითხრას ვინმემ და აი რას მოვახსენებ. ჩვენი ეროვნების ხე ჯერ არ გამხმარა. ძირი, ფესვი, ძლიერი აქვს და თუ უკულმართად ნამყნევი შტოები ვარდის წილ ასკილს იძლევინებიან, ეს კიდევ არ ნიშნავს სიკვდილს. მოვა დრო, როცა მაგარ და ჯერ კიდევ დაუჭიანებელ ფესვებზე ამოიყრიან შესაფერი შტოები და მაშინ მხოლოდ „ხე ნაყოფისაგან საცნაურ იქმნება“. ამისი ნიშანიც ვნახე და ვამბობ გიხაროდენს: ამ დღეებში გ. რობაქიძემ საჯაროდ წაიკითხა ლექცია ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის შესახებ. მეც დავესწარ და ამისრულდა წადილი. ვნახე ის ჩემის თვალით რაც მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მენატრებოდა: „ქართველი ინტელიგენტი, თავისთავად მოაზრე და არა საუცხოვო გრამოფონი!! ცხადად იხედებოდა, რომ ყოველი მისი სიტყვა მისივე საკუთარი იყო, გრძნობა-გონებაში ქართულად გამობრძმედული. ლექტორმა იჩინა თავი ჩემს თვალში, როგორც პირველმა მერცხალმა, გაზაფხულის მახარობელმა. ახლა კი ვხედავ, რომ ქართველ ინტელიგენციასაც უდგება, ხანგრძლივ ზამთრის შემდეგ გაზაფხული და მეც, მეშვიდე ცამდე აფრენილი, ვამბობ სიხარულით: კურთხეულ იყოს მომავალი!

**აკაკი.**

## პატარა ფელეტონი

**ჭეშმარიტება** *).

თვალი დაუდგეს ქართველ კაცს
ველიჩკოს მოტრფიალესა
ვერ ჰხედავს, მის დასაკლავათ
რომ მან მახვილი გალესა?!..

სომხებს რომ უეფეს იმავ დროს
გულს უქიცინებს ქართველსა,
მაგრამ ორივეს თანსწორათ
ანთხევს საწამლავ-ნაღველსა.

ცბიერს სომხიც ქართველიც
სკვითურ ფეხზე ჰკიდია
იმისი „მუცლის ტკივილი“
სხვა გვარი „გზა და ხიდია“.

ჰფიქრობს დრო არის მკვიდრებმა
აქედან გაიმინდვრონო
და იმათ ნამოსახლარზე
მოსულნი დაემკვიდრონო!..

ტკბილად იმღერის, როდესაც
გვიჭედავს ბორკილ რკინებსა
და ქვეშ-ქვეშურად მხარს აძლევს
იანოვსკ-ბუტირკინებსა!..

მაგრამ გულ წრფელი ქართველი
განა მიხვდება ამასა?..
როცა არ ტორავს დათვსაც კი
ეძახის „კეთილ მამასა“!

**აკაკი.**

*) ეს ლექსი ველიჩკოს რედაქტორობის დროს არის დაწერილი და ახლა, როგორც დარჩენილს ძველსა ვბეჭდავთ. **რედ.**

### ბაყაყი და ხარი

(არაკი)

ბაყაყმა თავის წუმპიდან დაინახა საძოვარზედ ხარი. შეშურდა ხარის სიდიდე და მოინდომა მისი სიმსხო გამხდარიყო.

გაიბერა, გაიგუდა. ეუბნება თავის მოძმე ყიყინასა: „აბა ერთი შემომხედე, ხარის ხელა არა ვარო“?

— ჯერ კი არა და ცოტა რამ გაკლიაო.

კიდე უფრო გაიბერა: „აბა ახლა ხომ მივაწიე ხარის სიმსხოსაო“?

— ჰო, ახლა კი სწორედ ხარის ოდენა ხარ... მგონებ, ცოტა მეტიცაო!

გახარდა ყიყინას, დაუძახა ამხანაგებს: „მოდით, ნახეთ ხარის ოდენა ბაყაყი მოგვევლინაო“!

დაიძრა მთელი ბაყაყეთი. მოვიდნენ, ნახეს, გაჰკვირდნენ, შეაქეს. და მას აქეთ არის წუმპიდან ისმის: „დიდება ჩვენდა, ხარის ოდენა ბაყაყი მოგვევლინაო!“

*

მკითხველო, შენ კი ეგრე არ გიძახნია?

**რიშ-ბაბა.**

## მოწერილი ამბები.

**სოფ. მეჯვრისხევი** (ქართლი).

ჩვენი სოფლის და საზოგადოდ ამ კუთხის მოსავლიანობას აპრილ-მაისის ამინდებმა კარგად შეუწყო ხელი. ყველაფერს კარგი პირი უჩანს, მხოლოდ ვენახები არ გამოიყურება საიმედოდ. ჯერ იყო და წრევანდელი ზამთრის არაჩვეულებრივმა სიცივეებმა გადაახმო და ეხლა კიდევ რაღაც ახალი ჭია უჩნდება და ანადგურებს. როგორც არა ერთხელ აღნიშნულა, საზოგადოდ ეს კუთხე დიდ გაჭირვებას განიცდის უწყლოობის გამო, ვინაიდან უმეტესობა მამულებისა სარწყავია. არსებული რუები ვერ აკმაყოფილებს მეურნეთა მოთხოვნილებას, მაგრამ ამ მხრით მეურნის გაჭირვებას თვით ბუნება ეხმარება ხშირის წვიმებით. წრევანდელი გაზაფხულიც სწორეთ ისეთი წვიმიანი იყო, როგორიც ამ კუთხეს ესაჭიროებოდა; მაგრამ სოფ. მეჯვრისხევი ზაფხულობით რიგიანი სასმელი წყალსაც მოკლებულია. მდინარე მეჯუდა, რომელიც სოფელს ჩამოუდის, ზაფხულობით თითქმის სრულიად შრება და მცხოვრებლები იძულებული ხდებიან სასმელად უსუფთაო რუების წყალი იხმარონ, რაც სხვა და სხვა ავათმყოფობას გავრცელება-გაძლიერებას ხელს უწყობს. შარშანდელმა ხოლერიანმა წელიწადმა დაანახვა სოფელს თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია სასმელ წყლის ავ-კარგიანობას ადამიანისათვის. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა ერთ-ერთ ქართულ გამოცემაში, რომ შარშან სოფ. ქარ-ბალში და ჯარიაშენში, სადაც მკვიდრნი წყაროს წყლით სარგებლობენ ერთი კაციც არ გამხდარა ხოლერით ავად მიუხედავად იმისა, რომ ეს სოფლები მეჯვრისხევიდან სულ 3—4 ვერსის მანძილზე მდებარეობენ, მაშინ, როდესაც მეჯვრისხევში 10—15 დღის განმავლობაში ასამდის სული იმსხვერპლა სენმა. აქედან ცხადია, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი მეჯვრისხევში ხოლერის ესეთი გაძლიე-

## ფელეტონი

### ჩემი გრძნობა.

მიყვარს საერთოდ ბავშვები,
ანგელოზთ დანადარები,
მათთვის ყოველთვის, ყოველგან
ღია მაქვს გულის კარები.

მათი ტიკტიკის ჭირიმე,
მათი უმანკო ძრახვისა!..
არ მოჰყირჭდება ყურს სმენა
და თვალს სურვილი ნახვისა.

მაგრამ მაშინ კი როდესაც
დაიზდებიან ბალღები
და ცხოვრებაში მოხვდებათ
საუკუღმართო ტალღები,

მაშინ აღარ მრწამს მე მათი
არც სიტყვა, აღარც სიცილი!..
საჯოჯოხეთოდ გასულა
სამოთხით მეტი ნაწილი!..

შეჰრიგებია გულ-გრილად
ცხოვრების საძაგლობასა
და მიტომ კვნესით ვიგონებ
მეც იმათ ყმაწვილობასა!

და ვამბობ: რათ იზრდებიან,
სწორი გზით ვინც ვერ მიჰდიან,
და თავის წილ-ხვედრ შვენებას
უშვერებაზე ჰყიდიან?

ნუ თუ არა სჯობს კაცისთვის
სანამდი გაფუჭდებოდეს,
რომ ისევ ბავშვობაშივე
მას სული ამოხდებოდეს?

**აკაკი.**

## დანგრეული ბუდეები

II *)

**ბიუსტი.**

ვიწრო, გრძელი ველი. შორს ცის კიდეზე მოსჩანს აგერ-აგერ თოვლით აჭედილი მთა, ლურჯი, ფართოდ გაშლილი მოწმენდილი ცა მშვიდათ დაჰყურებს არეს. გორაკების ფერდობებზე თმა ხუჭუჭა ბუჩქები ჩამჯდარან. ჯეჯილს სიო დაჰკრავს და ზღვა ყანა იწყებს წყნარ ტორტმანს, ცალ-ცალკე თავ-თავები ტალღის შხეფსავით გასრიალდება, გაიელვებს ჰაერში და გაქრება. აქ იქ, შორი შორს მდგარი ნიგოზი, მუხა, ცაცხვი დოინჯ შემორტყმული მდევებივით გაქვავებულან: ერთი ფოთოლიც კი არ ირხევა. ჰაერი კრთის, ალმური ადის.

შუაში უზარმაზარი ეზოა. ორ სართულიანი, კრამიტით დახურული სასახლე, გამურულ, გაშავებული საზაფხულო კედლებ გამონგრეული საჯინიბო, სალორე და საქათმო, მარანი, ხულა, საბძელი ყველაფერი გაშეშებულა, გაკაჟებულა. ბუნების საერთო მეჯლისია ირგვლივ, გალავნის შიგ კი ყველაფერი თითქოს გამხმარაო. ეზოში ჩაველი. ცხოველის სულის ჭაჭანება არ ისმის. ერთი ხე არ მოიძებნება. ერთ მაღალ ბალახსაც კი ვერ ამოუყვია თავი. თითქოს აი ეს ეს არის მტერმა გაანადგურა, ამოწყვიტა აქაურობა და ეზოც ვერ გამორკვეულა უბედურებისაგანო. ყოველი ქვა თითქოს ვიღასაც ემუქრება მწუხარებისაგან გაფითრებული, რაც მომივიდა მომივიდა-მეტს ვერას დამაკლებო. ეგვიპტის პირამიდები უსათუოდ ეგრე დაქცევის სიამაყით გამოიცქირება.

აივანზე ავედი. სახლი შიგნიდან არის ურდულით დაკეტილი. კარები ღრიჭოთაა დატოვებული. ხელი შევყავი ურდულის გამოსაძრობათ. კარს შერცხვა ძველი სტუმართ მოყვარეობის დავიწყება და ადვილათ დამნებდა. რაღაც ფრინველები დაფრთხენ. უსათუოდ ღამის ფრინველები იყვნენ — გატეხილ ფანჯარაში არ გაფრენილან-იქვე მიიმალნენ ჩამონგრეულ ბუხარში. ძვირფასი, ლამაზი იატაკი ნაგავითაა მოსვრილი. შუაზე გატეხილი, დამტვრიანებულ სარკეში მხატვრულად გამოიხედება ობობას ქსელით ერთმანეთზე გადაბმული შპალერის ნაფლეთები. როიალს სახურავი ახდილი აქვს. კონტრბასის სიმი გაწყვეტილია და დაჭრილის წელივით საცოდავათ გადმოვარდნილა. გვერდზე ჰკიდია კლავიშები სიკვდილის კბილებივით დახჩენილა, დაყვითლებულა; ხელმა წამძლია, დავკარი ერთ მათგანს და ისეთი უკმეხი, მძულვარე ხმით შემომძახა „დამეხსენიო“, რომ გამეორება ველარ გავბედე.

მეორე ოთახში იგივე სურათი. ძვირფასი აბრეშუმის ფარჩა გადავწიე და ლოგინის მაგიერ ძაღლის მწვირიანი დაგლეჯილი ლიბი-ლა დავინახე კუთხეში. ეს უნდა იყოს უკანასკნელი ფინიას სარეცელი, რომელსაც უკანასკნელი მოხუცი ვინმე გამდელი უვლიდა... ეს გამდელი ვერ შორდებოდა ამ ადგილს. გამდელი და ფინია ორივე აქ დარჩა. ერთხელ ძაღლი გავიდა ეზოში და დაძაბუნებულმა ფეხებმა ველარ შემოიტანეს უკანვე უკიბო აივანზე. გადიაც აქ მოკვდა და მხოლოდ მღვდელმა მიაკითხა, ნახა გაცივებული გვამი და სამადლოთ დაასაფლავებინა. ვინ იყო ეს გადია, საიდან მოიყვანეს ეს უკვე არავინ იცოდა.

ვიღაც უცნობ მხატვარს ულაზათოთ, გულუბრყვილოთ გამოეყვანა ჭერზე ორი ანგელოზი—ემბლემა მოსიყვარულე ცოლქმრისა, რომელნიც აქ ამ ოთახში დაესახლენ.

დავდიოდი ასე ოთახიდან ოთახში — ერთი მეორეზე უფრო გაპარტახებულ, გაოხრებულ, ერთი მეორეზე უფრო მწუხარე და უფრო სევდიან, მაგრამ ამაყ, გაკაჟებულ, გაფითრებულ ოთახებში.

ირმის ქორბუდიანი რქა შემოსჭედოდა ირგვლივ სურათის ჩარჩოს. სურათის მთელი ერთი მხარე სრულიად მოხეული იყო, მოსჩანდა მხოლოდ ღეზები და ჯინჯილები. თავი და ჯვრებით სავსე მკერდი უნაკლულოდ დარჩენილიყო. ეს იყო ვორონცოვი.

აი ამ ოთახში კი ნამდვილი ზღაპრული ამბავი ხდებოდა. ვერცხლის გვირგვინი; ნაზი ხუთ-ფოლაქიანი ქალის საბალო ხელთათმანი, დამტვრეული სკამები, კუბოს ფარჩა, ლამპის შუშა, უძველესი ხელით ნაწერები, აჭედილი პატარა კოლოფი, ქანგით შეჭმული უტარ-უქარქაშო ხმალი, რომელზედაც გძელ ზედ-წარწერაში ძლივს გავარჩიე... „გიორგი საკაძისაგან“... სავარძლები, ეტლის ბალიშები და მათ შორის თიხის ვეებერთელა ქოთანში მაგნოლია... შტოები უკვე ჭერს მიბჯენოდა და ფოთლები, ყლორტები, ყვავილები ერთმანეთში ლამაზად გადახლართულიყო.

ერთი კუთხე კი ცალიერი იყო. იქ იდგა სრულიად განმარტოებული, თითქოს ყველაფერი მობეზრებია მეტის მეტი სიყვარულით, თითქოს ეშინია, საყვარელ საგანთა შესახებ ძველი იარები არ გამილვიძოსო. ბიუსტი მტვერით დაფარული ხელში ავიღე ფანჯრის თახჩაზე დავდგი.

შვილო — თითქოს მეკითხებოდა, საშუალო ხნის ქალის სახე, — მტერი ხარ თუ მოყვარე? თუ მტერი ხარ რაღა უნდა წაიღო ჩემგან და თუ მოყვარე რას მეტყვი? რა შეგიძლია? გინდა გამომალვიძო? რისთვის? ვისთვის? ჩემს გულშიაც ფეთქდა გული სურვილით და მისწრაფებით სავსე. მეც გადავდგი ცდომილი ნაბიჯი, რომლის შესწორებას ვცდილობდი, მაგრამ აღარაფერმა მიშველა. მე თუ უკან ვიხედავდი ნაპრალის საშიშროების უკვე შეგნები, სამაგიეროთ სხვები წინ მეწეოდენ და ჩავვარდით ერთად უფსკრულში. დამცინო გინდა შეცდომებისთვის? განა შენ არ შემცდარხარ?.

ცხვირსახოცი ამოვიღე. მტვერი გადავწმინდე სახეს. დიდრონი გამჭრიახი თვალები შემომაჩერდენ. ლოყებს უკვე ხანის ხაზები დასჩნეოდა. მაღალს თხელ ტუჩებს ღიმი, სევდიანი ღიმი ხან შორდებოდა და ხან ისევ დააფრინდებოდა. უბრალო თავსაფრით ხშირი თმა ჰქონდა შეკრული ყელის ქვევით. მაღალი შუბლი და მაღალი ცხვირი სიმამაცეს აჩენდა, თუმც არ უკარგავდა ლმობიერ გამომეტყველებას. მთელ სახლში მხოლოდ ეს ბიუსტი იყო გვარეულის სიამაყე. ქალი უფრო ოჯახში თავ-შემოფარებულ მამიდას ჰგავდა, ვიდრე ოჯახის პატრონს-ქალბატონს.

ბიუსტი შევაბრუნ-შემოვაბრუნე. მექანდაკის სახელს ვეძებდი — ზედ არაფერი ეწერა. გადავაბრუნე და შევიხედე ბიუსტის ღრუში. შიგ რაღაც ყვითელს მოვკარი თვალი. ამოვიღე ქაღალდი გამოდგა. წუნარა გავხსენი დამფრთხალმა. მწერი სწრაფად გადახტა და იატაკზე დავარდა. ქაღალდი გავშალე. ეს იყო კარგა მოგრძო მწვანე ხანისაგან ფერ გამკრთალი წერილი. აი ისიც! მხოლოდ ნიშნები დავსვი თავ თავის ადგილს და ის სიტყვები რომელიც ვერ ამოვიკითხე ჩემის სურვილისამებრ შევცვალე.

**ჩემო ვარდის კოკობო!**

ჩაგეხვევი მაგ გედის ყელში და ათასს გაკოცებ. სხვა ღვთით კარგათ ვარ. სასიამოვნო ამბავი ათასი მინდა გაგაგებინო, რომელი ერთი გითხრა?

ჩემი გიჟი ძმიას საქმე როგორც იქნა მოვაწყვე. პოლკოვნიკმა როგორც კი გაიგო გულბატ რევაზიჩის შვილს უნდა ჯარში შემოსვლაო, თვითონვე მომიგზავნა მოციქული. ეხლა ფორმა აცვია და მთლად გადირია. მაინც ვერ ბრძანდებოდა დიდის ჭკუის, მუდამ მელრიტინება ფული მომეციო, როცა არ ამბობს ისეთი სახე აქვს, შენმა მზემ თითქოს ცარიელი ქისა იყოს და პირდაპირ ელოდეს, როდის ჩამიდებენ რასმეო. ფულს ჯანი გავარდნია, ერთი არ მომწონს, ბანქოსა თამაშობას და კიდევაც სვამს. რუსის მუჟიკი ხომ არაა მაგ მასხარა!! გუშინ კნეინა ნინოსთან ვიყავი. ვორონცოვს გაუგია, რომ აქ ვარ და კნეინასთვის უთქვამს, ეს თქვენი კნიაზი ნამდვილი დათვი უნდა იყოს ასეთი დიდი კაცის შვილია და არც მოდის და არც მიწვევს სტუმრათაო. Но красавицу княгиню не дадимъ ему замучать въ деревенской глуши-ო. შენზე უთქვამს ისეთის მამის შვილია, რომ პირდაპირ სტატს-დამობაზე წარვადგენ ხელმწიფესთან, მაშინ ხომ ამიყვანს მისი განდეგილი ქმარიო. ეხლა ხომ იცი კნეინა ნინოს ამბავი, დაიწყო და დაიწყო სულ ქვესკნელში ჩამაძვრინა — შენ ასეთი ხარ, სულ უკან უკან იკუნჩხები, რაღაც ორ მანეთს ერიდები და არ გინდა არც შენ გამოიხედო ქვეყანაში და არც შენი ცოლი გამოახედოო.

მეც ბევრი ველარ გავჯიუტდი და დავეთანხმე ამ ზამთარს თფილისში გავატარებთ-მეთქი. ვიცი რაც ორი მანეთი დაგვჭირდება, მაგრამ ჯანი გავარდნია, სოფელ ქვეყანას რომ გამოვსხლტეთ! გიხარია განა, კნეინაჯან, ერთი შენც გააქნევ კურტუმს რუსის კავალრებთან-ტანცი მანცი, პიკნიკი და არშიყობა!

არ გეწყინოს, სულიკო! გეხუმრები, ოღონდ ერთად, ერთად ვიყოთ და არაფერია — ხარჯსაც გავუძლებთ ღვთით!..

შენთვის ერთი ისეთი სამაჯური ვიყიდე, რომ სულ თვალს მოთხრის შენ ძალუა ქალბატონს... მიკირტუმს გამოვართვი... იმერეთის დედოფლის ნაქონი უნდა იყოს. საიდან იშოვა ამ სულ-წაწყმედილმა, არ ვიცი. კარგი რამ კი არის! ორი თითის სიფართე ოქროს რვა ნაჭერია ერთმანეთზე რგოლივით გადაბმული; ყოველ ნაჭერში თვალის კაკლის სიხო ბრილიანტია ჩასმული, ბრილიანტებს ირგვლივ იაგუნდი და ლალი აქვს შემოვლებული. ბიჭსაც დავაბარე, მაგრამ იქნებ დაავიწყდეს, ამიტომ გიორგის უბძანე, მილებისათანავე ათი ურემი დაამზადოს და რაც ზედ დაეტევა ძველი ვენახის სათაური ღვინო გამოგზავნოს. აქ ჩამოუტანს მიკირტუმს. თითონ ჩამოყვეს. სარწყავში არ მოატყუებინოს თავი მიკირტუმს, თო-

*) ამ სათაურით ავტორი ჰბეჭდავს ნოველლებს, რომელთაც ცალკე მთლიანი მნიშვნელობა აქვთ. ეს მეორე ნოველლაა. **რედ.**

რების სუფთა სასმელი წყლის უქონლობა იყო. ადგილობრივმა ხოლერასთან მებრძოლ სანიტარულმა კომისიამ მაშინ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და ის იყო კომისიის წევრებში რაღაც ლაპარაკი იწყეს ახლო მდებარე წყაროდან წყლის მილით გამოყვანაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე მარტო ლაპარაკით გათავდა. ადლაჰმა უწყის რას მოგვიტანს დრო... ყოველ შემთხვევისთვის სასურველია, რომ სოფელი ამ მხრით უზრუნველ ჰყონ.

ეს მეორე თვეა ჩვენსა და ახლო-მახლო სოფლებში რაღაც დორების ავათმყოფობა გაჩნდა. უთვალავი დორები იხოცება ამ ავათმყოფობით. სასურველია ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისიც ჯერ არს და საჭირო ზომები მიიღონ.

წლეულს ადგილობრივი ეკლესიის დღესასწაული, ეგრედ წოდებული „უსანეთობა“ 29 მაისს იყო. როგორც ვიცით, „უსანეთობას“ სამის დღით სოფ. მესჯვრისხევში ყოველ წლივ იმართება დიდი ბაზრობა (იარმუკა). ამ დროს მესჯვრისხევი დიდი სავაჭრო-მიცემო ცენტრის შთაბეჭდილებას ახდენს ხოლმე. მრავალი ვაჭარი ხალხი მოაწყდა ახლაც. უმთავრესი სავაჭრო-მიცემო საგანი ძროხეზა საქონლის გაყიდვა-გამოყიდვა იყო.

ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში ცნობა იყო, რომ კურგანის „ბირჟის კომიტეტი“ შეეკითხვია თფილისისას, თუ რამდენათ შესაძლებელია ჩვენს მხარეში წითლის „კლეჰკების“ შექნა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მესჯვრისხევიდან სულ 10—12 ვერსის მანძილზე მთებში დიდი წითელის ტყეებია, რომელნიც ადგილობრივ მემამულეების საკუთრებას შეადგენენ. დამუშავებით კი ჯერ არავინ ამუშავებს, მაგრამ თუ იქმნება მოთხოვნილება, მაშინ, რასაკვირველია, დაიწყებენ საჭირო მასალის დამუშავებას „კლეჰკა“ იქმნება იგი თუ სხვა რამე. სასურველია, რომ თფილისის კომიტეტმა ეს აცნობოს ზემორე ნახსენებ კურგანის კომიტეტს.

S.

## ტფილისის ბანკის კრება.

28 მაისს დაიწყო თბილისის სადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრება და დამთავრდა 1 თიბათვეს. განსახილველად წარმოდგენილმა წლიურმა ანგარიშმა დიდი კამათი არ გამოიწვია. იგი დაამტკიცეს.

სამაგიეროდ კამათი ატყდა ზოგიერთ მოხსენებათა და ხარჯთაღრიცხვის გამო.

კრებამ დაადგინა საქმის წარმოების რეფორმის გეგმის შემუშავება მიენდოს გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ საკრებულოს.

საკმაოდ დიდი კამათი გამოიწვია დამფასებელ კომისიის რეორგანიზაციის საკითხმა.

გამგეობა და ზედამხ. კომიტეტი თხოულობდნენ, რომ დაწესებულიყო 2 თანამდებობა აგენტ-დამფასებლისა. ალექს. დიასამიძე წინააღმდეგია საზოგადოთ მეტი ხელის მომატებისა. დავ. ჯორჯაძემ აღიარა, რომ აგენტ-დამფასებლის თანამდებობის დაწესება წესდების წინააღმდეგი საქმე იქნებაო. ივ. ჯაბადარმა ურჩია კრებას გაემრავლებინა ბანკის წარმომადგენელ აგენტების რიცხვი, რომელთაც დავალებული ექნებათ ბანკისთვის კლიენტების შოვნა და მარტო შემზადება საფამასებლო მასალისა. მიხ. მაჩაბელი დაეთანხმა ბანკის ორგანოებს, რომ დამფასებელ-აგენტების თანამდებობის დაწესება საჭიროა.

კრებამ დაადგინა დააწესოს 2 აგენტ-დამფასებლის თანამდებობა და პირების დანიშვნა ამ თანამდებობაზე მიენდოს გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ საკრებულოს. ეს გადაწყვეტილება ჩვენის აზრით წესდების წინააღმდეგია, რადგანაც წესდებაში შეერთებულ საკრებულოს უფლებამოსილება განსაზღვრულია.

იქ სრულებით არ არის მოხსენებული, რომ მას შეეძლოს რომელსამე თანამდებობაზე მოხელის დანიშვნა.

კამათი გამოიწვია აგრეთვე სასამართლო საქმეების შესახებ მოხსენებამ. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ვას. დემიდოვმა, რომელიც საჭიროდ სთვლიდა იურისკონსულტის ჯამაგირის წამატებას და თანაშემწის თანამდებობის დაწესებას, მისივე აზრით იურისკონსულტს და მის თანაშემწეს უნდა ეძლეოდეს ჯამაგირს გარდა აგრეთვე წილი სასამართლო ხარჯიდან. ივ. ჯაბადარმა აღნიშნა, რომ საჭიროა იურისკონსულტმა მუდამ იმუშაოს ბანკში; იგი უნდა აძლევდეს რჩევას გამგეობას, თვალყური უნდა ადევნოს, რომ იურიდიული შეცდომა არა მოუვიდეს რაო, მაშინ თვით სასამართლო საქმეების რიცხვი შეშველად იკლებსო.

კრებამ დაადგინა იურისკონსულტს დაენიშნოს წელიწადში ჯამაგირად 2,400 მ. თანაშემწეს—1,200 მ. ამ ორ თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდნენ მხოლოდ ის პირნი რომელთაც იურიდიული განათლება მიუღიათ. მათვე უნდა ეძლეოდეს მოგებულ საქმეებში მისჯილ სასამართლო ხარჯიდან ნახევარი, ხოლო ეს გასამრჯელო არ უნდა იყოს ორას მანეთზე მეტი თითო საქმეზე.

მცირე კამათის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა შეიძინოს ადგილი და სახლი ბანკისათვის საკუთარი შენობა, რისთვისაც დაევალა გამგეობას ჯეროვანი შუამდგომლობა აღძრას ფინანსთა სამინისტროს წინაშე ფულის გაღების შესახებ.

კრებას სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო (აგრარულმა) კომისიამ, რომელიც ჰმართავს ბანკზე დარჩენილ სოფლის მამულებს წარმოუდგინა დაუბეჭდავი ანგარიში ამ მამულების მართვა-გამგეობისა. ამ გარემოებამ აღელვა კრება. ვას. დემიდოვმა შენიშნა, რომ საჭიროა წესდების თანახმად ეს ანგარიშიც დაბეჭდილიყო ორი კვირის წინად კრების დაწყებამდე. თავმჯდომარემ მიხ. მაჩაბელმა შენიშნა, რომ მარტო იგი არის დამნაშავე, რომ კომისიამ ვერ მოასწრო დაწვრილებითი ანგარიშის შედგენა და დაბეჭდვა, რადგანაც მას დრო არა ჰქონდა სამსახურის გამოო. ამგვარი განმარტებამ მიხ. მაჩაბლისამ არავინ არ დააკმაყოფილა.

დ. ფავლენიშვილმა, აგრარული კომისიის წევრმა და ბანკის დირექტორმა სხვათა შორის სთქვა, რომ კომისის მოხელე—ინსტრუქტორებმა ფაქტიურად ჩაიბარეს დარჩენილი მამულები მხოლოდ 1910 წ. აპრილში; ამის გარდა ორი თვე ვერაფერს აკეთებდენ აგრარულ კომისიაზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო. დ. ფავლენიშვილმა დასძინა, რომ ინსტრუქტორების მუშაობა სწარმოებდა მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში. მისი სიტყვით ინსტრუქტორებმა ბევრი გააკეთეს, მამულები ასწორეს და ეს აღწერილობანი ბანკის გამგეობას ხელში აქვსო.

კრებამ გადასწყვიტა ამ ხანად დაამტკიცოს ეს წარმოდგენილი ანგარიში, ხოლო დაავალა ზედამხედველ კომიტეტს ყოველთვის თავის დასკვნა წარმოუდგინოს ყველა მოხსენებათა გამო.

სწორედ საკვირველია!.. მიხ. მაჩაბელს ხშირად უსაყვედურებს ხოლმე სხვებს მოვალეობას არ ასრულებთო. თვითონ კი თავის კოლეგიით უყურადღებოდ სტოვებს კრების კანონიერ სურვილს და ვრცელ დაბეჭდილ ანგარიშს არ ურდგენს—ესეც მაშინ, როდესაც კრებას სამართლიანად სურს, თუ რამდენად სასარგებლოა ხარჯი დაწესებული აგრარულ კომისიის შენახვისათვის.

ამის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა 1911 წლიდან აძლიოს ბანკის დირექტორის ქვრივს ქ-ბ. ოლგა ავალიშვილისას წელიწადში 720 მან. წინანდელ 483 მან. მაგიერ. კრებამ დაუნიშნა დამფასებელ კომისიის თავმჯდომარის კონსტანტინე ფურცელაძის ქვრივს წელიწადში 461 მ. 10 კ. 1911 წლიდან. კრებამ ფარული კენჭის ყრით 58 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 21-ისა გადასწყვიტა მიეცეს განსვენებულ დირექტორის ივანე მაჩაბლის ქვრივს ქ-ბ. ანასტასიას დამატებითი შემწეობა 1898 წლის 26 თიბათვიდან, როდესაც დაუგიწყარი საზოგადო მოღვაწე დაიკარგა 1907 წლის 1 იანვრამდე, როდესაც დაენიშნა მას ყოველწლიური პენსია.

ამის წინააღმდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ივანე აბხაზმა, რომელიც ამგვარ თხოვნის დაკმაყოფილებას სთვლიდა უკანონოდ. ხოლო ამ წინადადების სასარგებლოდ წარმოსთქვეს სიტყვები ნიკ. ტარსაიძემ და ალ. დიასამიძემ, რომელთაც აღნიშნეს დვაწლი და სამსახური განსვენებულ მწერლისა სამშობლო საზოგადოების წინაშე.

შემწეობა ივ. მაჩაბლის ქვრივისა, უდრის 12900 მანეთს, რომელიც უნდა ჩაეთვალოს დარჩენილ გადასახადებში. ეს დარჩენილი გადასახადები კი უდრის 13000 მან.

მერე კრებამ განიხილა 50 მესხსებელის თხოვნა, რომ ბანკმა უვალოდ გადასცეს წერა-კითხვის საზოგადოებას ის სახლი, რომელიც ეკუთვნოდა განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს. ბანკის დირექტორი დიმ. ფავლენიშვილი იმ აზრისა იყო, რომ ბანკისათვის უფრო სასარგებლოა, რომ გაიყიდოს ახლავე, რადგანაც ერთი მეიდვეული ღებულობს თავის თავზე მთელს თავნს და იძლევა დარჩენილ გადასახადებში 4.000 მ. ნიკ. ტარსაიძე, ვას. მაჩაბელი საჭიროდ სთვლიან პატივისცემით მოექცეს კრება განსვენებულ მოღვაწის ხსოვნას.

მთელი კრება დიდებული ქართველის ხსოვნის პატივსაცემლად სდგება ფეხზე და ასე გაჩერებულია რამდენიმე ხნის განმავლობაში. ეს სურათი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს დამსწრეებზე.

კომიტეტი და გამგეობა ამ წინადადებას უკანონოდ სთვლიან.

ბოლოს გამგეობის თავმჯდომარემ თავ. მიხ. გრუზინსკიმ ურჩია კრებას, ეს სახლი დასტოვოს ბანკის საკუთრებად. კრებამ დაადგინა დაევალოს გამგეობას აღძრას სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა, რომ ბანკის მოგებიდან გადიდოს თანხა ამ სახლის შექნისთვის.

ამის შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს. ვიდრე არჩევნები დაიწყებოდა გრ. დიასამიძემ აღძრა საკითხი, რომ საჭიროა შეიცვალოს წესდება იმ ნაირად, რომ გარეშე ხალხსაც შეეძლოს დასწრება საბანკო კრებაზე. ეს წინადადება კრებამ ერთხმად მიიღო და დაავალა გამგეობას შემდეგ კრებაზე მოხსენება წარმოადგინოს.

არჩევნებს ეს შედეგი მოჰყვა. გამგეობის წევრის თანამდებობაზე კენჭი იყარეს:

მიხ. ვეზირიშვილმა, მიიღო 61 თეთრი 75 შავი.

კონსტ. მაყაშვილმა. 68 თეთრი 69 შავი.

ლევან ფურცელაძემ 45 თ. 92 შ. რაკი ყველა ესენი გაშავდნენ, დაიდგა ყუთი. სვიმონ ვახვახიშვილმა, რომელმაც მიიღო 53 თ. 44 შ., ვასილ მაჩაბელმა—34 თ. 52 შ. დიმიტრი ჩოლოყაშვილმა—30 თ. 67 შ. დამფასებლებად ხელახლად აირჩიეს ძველები: ლევან ჩერქეზიშვილი (129 თ.—8 შ.) და ნიკოლოზ ერისთავი (115 თ. 21 შ.) ვლ. ს. ყიფიანი გაშავდა (30 თ.—107 შ.) ზედამხედველი კომიტეტში აირჩიეს: გიორგი ჟურული (125 თ.—12 შ.) და ისევ ალექს ჭავჭავაძე (94 თ.—43 შ.) ვლადიმერ დავითის ძე ვაჩნაძე გაშავდა (51 თ.—86 შ.) ამ ნაირად გამარჯვება ოპოზიციამ. კრება დაიშალა ღამის 2 საათზე. თავმჯდომარეს ბ. გიორგი ჟურულს დიდი მადლობა გადუხადა კრებამ სხდომების ნიჭიერ ხელმძღვანელობისათვის.

დამსწრე.

## ძირს შოვინიზმი!..

ჩვენს ცხოვრებაში იმდენ კონტრასტებსა ვხედავთ, რომ თუ ერთი გვაღონებს მეორე უსათუოდ გვახარებს ხოლმე.

ნუ თუ განა დასაღონებელი არ არის ის ამბავი, რომ ქ. სიღნაღში ბ. ენიკოლოფოვს ქართველთა სამრევლო სკოლის სასარგებლოდ ქალაქის ბაღში საირნობის გამართვა აუკრძალავს.

მერე არ იკითხავთ, მკითხველო, თუ ვინაა ეს ბ. ენიკოლოფოვი? იგი გახლავთ სიღნაღის ქალაქის თავი, ესე იგი ხალხის მსახური, მისი მრწმუნებელი, მისი წარმომადგენელი. მაშასადამე მისი მოვალეობაა ხელი შეუწყოს ყოველგვარ საკულტურო დაწესებულების განვითარებას და ყოველნაირი შრომა შესწიროს მას. ამის მაგიერად იგი უკრძალავს ქალაქის ქართველ მცხოვრებლებს თავიანთ სკოლის სასარგებლოდ საირნობის გამართვას. მერე ვინ მისცა მას ამგვარი უფლება, თუ არა აწინდელმა უნუგეშო და უპატრონო ხანამ, როდესაც ყოველ გვარ შოვინისტურ აზრებით აღსავსე ქვემძრომებმა თავი აიწიეს და გარემოებით სარგებლობენ. ცხოვრების ნორმალურ პირობებში ისინი ხომ ვერ გაბედავდნენ არავითარ ამ გვარ საზიზღარ საქციელის ჩადენას. მაგრამ „დრონი მეფობენ.“ მეორე ამბავმა კი გვასიამოვნა. ქ. ერევანში, საქალაქო არჩევნების დროს სომხებს, რომელნიც იქ უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ, აურჩევიათ ხმოსნად ერთი ქართველი, ბ-ნ ს. კასრაძე. მცირეა ეს მოვლენა, მაგრამ კარგ რამეს მომასწავებელია. სამართლიანად მსჯელობს „მშაკის“ კორესპონდენტი, რომელიც ერევნიდან იწერება ამ არჩევნების შესახებ, და სხვათა შორის ბრძანებს: **„ამომრჩევლებმა უნდა იხელმძღვანელონ იმ პრინციპით, რომ საზოგადო საერთო ინტერესების საკითხის დროს იქ, სადაც ერები ერთი მეორეს გვერდით სცხოვრებენ, „ეროვნულ შუღლს“ ადგილი არ უნდა ჰქონდესო.“**

დიდება სოლიდარობის და ძმურის კავშირის იდეას!.. მას უკვე აქვს მოპოვებული „ნიადაგი“ ჩვენს ცხოვრებაში. თუმცა რამდენიმე შოვინისტი დროით და გარემოებით სარგებლობს და წყალს ამღვრევს, მაგრამ არის საგულისხმო ამბებიც, როგორც მაგ. ერევნის არჩევნებია, რომელიც ჩვენი საზოგადოების ულრმეს სიმპატიას იწვევს. ამიტომ შორს ჩვენგან შოვინიზმი! გაუმარჯოს სოლიდარობას და ძმურ სიყვარულს!..

არტემიუს.

## დროა შეჩერდეთ!..

„ზაკავკაზიესა“ და „ზაკავკაზსკაია რეჩში“ ისტამბება წერილები, რომელშიაც ერთმანეთს ლანძღავენ ეგრედ წოდებული ქართველი „საზოგადო მოღვაწენი“.

ორივე მხრიდან ისმის ლანძღვა-თრევა და სხვადასხვა ცილის წამება. ყველა ეს იწვევს სამართლიან გულის წყრომას ქართველ საზოგადოების შეგნებულ ნაწილში. ნუ თუ დრო არ არის მიხვდენ, რომ უცხო მკითხველების და საზოგადოების წინაშე მაინც საჭიროა ზრდილობიანი და სამართლიანი სჯა-ბაასი?.. მკითხველი საზოგადოება იქამდინ მიიყვანეს, რომ იგი სიამოვნებით შეხვდება ორივე გაზეთის მოსპობას გამომცემელთა მიერ. საკვირველი ის არის, რომ ორივე გაზეთის გამომცემელნი—ამხანაგობანი არიან. ნუ თუ ამათში არ მოიპოვებიან ისეთი შორსმჭვრეტელი პირები, რომელთაც გონება უკარნახებდეს ამგვარ „კამათის“ და „სჯა-ბაასის“ შეწყვეტის აუცილებლობას.

მოთმინების ფიალა აივსო, ბატონებო! თუ აგრე შეგყვარებიათ ერთმანეთის კილვა-ძრახვა, ისევ ქართულად მაინც ლანძღეთ ერთმანეთი!..

O, tempora, o mores!..

კატონი.

# ახალი ამბები

**✦ ამ ბოლო დროს ადგილობრივ გაზეთებში ისტამბება წერილები თბილისის სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა საოპოზიციო ჯგუფის მოქმედების შესახებ. ყოველივე გაუგებრობის ასაცილებლად ჯგუფის წევრები გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მათი ჯგუფი პასუხს ვერ აგებს ამ წერილების გამო, რადგანაც ესენი ეკუთვნიან კერძო პირებს. ამიტომ ამ წერილების მიხედვით მსჯელობა ჯგუფის მოქმედების შესახებ უსამართლო იქნება.**

**იმედია სხვა გაზეთებიც მოიხსენებენ თავიანთ ფურცლებზე ამ განმარტებას.**

✦ ქუთაისიდან მეტად სასიამოვნო და სასიხარულო ამბავი მოგვივიდა. იქაც, როგორც აქ, საქართველოს დედა-ქალაქში, გაუმარჯვენია ოპოზიციას. დირექტორებათ აურჩევიათ: ალექსანდრე ლორთქიფანიძე და იაკობ ფანცხავა; ზედამხედველ კომიტეტში გაუყვანიათ: გიორგი ზდანოვიჩი, სვიმონ მიქელაძე და კონსტანტინე გოცირიძე. დავით ოტიას ძე ნიჟარაძემ დეპეშით თანხმობა გამოაცხადა ზედამხედველ კომიტეტის წევრობაზე კენჭის ყრისა; მაგრამ გამგეობის პარტიის სახელით ბანკის დირექტორმა დავით მიქელაძემ მისი ყუთი აილო და ამიტომ კენჭი არ უყარეს. იმედია ახლად არჩეულები მშვიდობიანად და გულ-მოდგინედ შეუდგებიან საქმეების მართვას.

✦ თბილისში გარდაიცვალა 3 ივნისს თავ. ევგენ გრიგოლის ძე ბებუთაშვილი, რომელიც 9 წლის განმავლობაში მსახურობდა სათავად-აზნაურო დაწესებულებაში. იგი იყო თბილისის მაზრის წინამძღოლი. აგრეთვე საპატიო მომრიგებელ მოსამართლედაც იყო დანიშნული. განსვენებული მეტად მშვიდობიანი ხასიათის კაცი იყო და დამსახურებული ჰქონდა სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებაში. განსვენებული სამოცდაათ წელზე მეტისა იყო.

✦ ამ ჟამად თბილისის გარედ მყოფი ცნობილი ქველმოქმედი დავით სარაჯიშვილი მძიმედ არის ავად.

✦ თბილისში ნავოსნობის მოწყობას ეპირება ინჟინერი სუსლოვი. ის სთხოვს ქალაქის გამგეობას მისცენ მას 50 წლით კონცესია და იგი მოაწყობს გემების მიმოსვლას მტკვარზე დიდუბესა და ქალაქის საყასპოებს შუა.

✦ „ახალი კლუბი“ (ქართული) გაიხსნება სათავადაზნაურო ქარვასლის შენობაში ან 11 ან 14 ივნისს.

✦ როგორც შევიტყეთ თბილისის სადგილ-მამულო ბანკის კრების გარდაწყვეტილების ასრულება ივანე მაჩაბლის ქვრივისათვის 12.900 მ. შემწეობის აღმოჩენის შესახებ ფინანსთა მინისტრის რწმუნებულმა ვ. ოსტროვსკიმ შეაჩერა იმ დრომდე, სანამ ამის ნებართვა არ მოვა სამინისტროდან.

✦ თბილისში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ამას წინეთ ჩვენს გაზეთში მოყვანილმა „ბერლინერ ტაგებლატში“ დასტამბულმა ბ. ლორენცის წერილმა კავკასიაში მოგზაურობის შესახებ. „თბილ. ლისტოკმა“ გადაბეჭდა ჩვენი შენიშვნა და დაუმატა, რომ საჭიროა პასუხი გაეცეს კორესპონდენტსო.

ახლა როგორც შევიტყეთ ზოგიერთ ქართულ დაწესებულებათა და ჟურნალ გაზეთების წარმომადგენელნი, ექიმები და ადვოკატები აპირებენ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატის“ რედაქციაში პროტესტის გაგზავნას დეპეშით. აგრეთვე გადმოგვცემენ რომ ბერლინში მცხოვრებმა თავ. გიორგი ვასილის ძე მაჩაბელმა წერილით მიჰმართა პრინც ოლდენბურგელს და დაეკითხა, ნუ თუ გერმანულ გაზეთში მოყვანილი მისი სიტყვები ადგილობრივ მკვიდრთა შესახებ მართალია? როგორც ამის შესახებ მოგვივა დაწვრილებითი ცნობები, ჩვენ დავსტამბავთ „თემში“ მაშინვე.

✦ „ზაკავკაზიეში“ ხელი მიჰყო თავის წერილების ბეჭდვას მ. ტფილისელმა, რომელმაც ერთხელ უკვე ისახელა თავი ქართველ ინტელიგენციაზე დასმენით. ახლაც ამგვარადვე იქცევა. ამტყუნებს სათავად-აზნაურო საქმეების მეთაურების საქციელის დამწუნებლებს თქვენ თავადაზნაურობის წოდების წინააღმდეგ ამხედრებთ დანარჩენებსაო. მაგრამ ავტორის ეს ხერხი ისევე დასაგმობია, როგორც წინანდელი. რა შუაშია აქ წოდება?.. იწუნებენ მეთაურებს და მათ მოქმედებას. „ზაკავკაზიეს“ მკითხველი არც ისეთი მიუხვედრილია, როგორც ეს ჰგონია ბ. მიხ. მაჩაბელს. მაგრამ ბ. ტფილისელის წერილების შესახებ შემდეგ ვიბაასებთ.

✦ განჯაში უცებ გარდაცვლილა ცნობილი მოხელე დიმიტრი ვასილის ძე ასანიძე. 7 ივნისს ცხედარს ჩამოასვენებენ თბილისს და დაკრძალავენ 7 თიბათვეს კუკიის სასაფლაოზე.

✦ ჩვენ მივაქცევთ ქართულ სამეურნეო საზოგადოების ყურადღებას ბ. **ფუხარას** შემდეგ წერილზე, რომელიც ჩვენ მივიღეთ **ჯავახეთიდან**: „ჩვენში დღეის პურს, შემოდგომობით იშვიათად ბარად თუ სთესავენ. აღდგომის მერე დიკა და ქერის თესვას შეუდექით და ერთს თვეში სულ გავათავეთ. ხშირმა წვიმამ და დროზე მზემ ჯეჯილები გაახედა ახლა ძლიერ კარგი პირი უჩანს მოსავალს. სარჩო სამყოფი მოგვივა.—თუშ-ხევსურ-ქიზიყის ცხვარი დაიძრა და უკვე გაივსო აქაური ნოყიერი საძოვრები, მაგრამ ჯერ მთაში ასვლას მაინც ვერ ბედავენ. ზოგან თოვლის ზოლები ჯერაც არ ჩამოდნარა. როგორც გვიამბეს წელს დოლი კარგი ვერ უღიათ 40.000 მეტი ბატკნობა დახოცილა. ზოგიც აზვიადებს **ორასმა ათასმა** იზარალაო. საკვირველია, რომ ამოდენა ცხვრის პატრონებმა (ორი მილიონის ჯერ აქ ამოდის) ვერ მოახერხეს ამხანაგობის შედგენა. გვიამბეს რომ თავ. დ. ჯანდიერიც ძრიელ შეეცადა, მაგრამ ვერ მოახერხაო. ცხვარი მოვიდა თუ არა ფეხდა-ფეხ მოჰყვა მატყლის ვაჭარიც. ჯერ ანგარიშივე აუღიათ ბე, ფუთი შვიდ მანათობის ანგარიშზე. თურმე ამ თავითვე ჰყიდიან მატყლს და ზოგს ნახევარზე მეტი ფული აღებულიც აქვს. თუშის ცხვრის მატყლი ერთი მანეთით ყოველთვის მეტად ფასობს ადგილობრივზე. ასე და ამგვარად ვერ შესდგა მეცხვარეთა ამხანაგობა. ნუ თუ წრფელ სურვილს და გამჭრიახობას ვერ შეუძლია დასძლიოს ჩვენი დაუდევრობა! თუ კი ერთი პირი იქმნება, არც ისეთი შეუგნებელნი არიან ჩვენი მთიელები რომ დაქსაქსულობას ერთობა არ ამჯობინონ და თავის ეკონომიურ დამოუკიდებლობისათვის არ იზრუნონ. სტუმნების და სხვა მსხვილ ფირმების გარდა, რომელნიც არ იკადრებენ უდიერობას, აქ ჩარჩებიც ბევრნი დაძრწიან, რომელთა აღებ-მიცემობა არ ემორჩილება ევროპიელთა წესს და რიგიანობას.“

# მზიანა.

(ლეგენდა)

I.

მთანი მაღალნი, ზვიადნი
ტურფა სამთავროს ჰფენიან,
ზურმუხტის წალკოტს თვალ-წარმტაცს
ოქროს ნაყოფნი სცხრებიან,
ცა აიაზმის ცრემლს აზნევს,
მნათნი კანდელად ჰკრთებიან,
ოთხივ კუთხივ კი დარაჯად
თეთრნი არწივნი სდგებიან.
ალვის ხეთ ჩრდილს ქვეშ ქალ-ვაჟნი
ერთურთის ხვევნით სტკბებიან,
აყრილ ლერწამა ტანითა
კვიპაროსს დამსგავსებიან,
დღისა დასვლამდინ იმღერდინ,
გიქმაყ ფერხულში ებმიან,
თვალნი მათ ეშხით იბნიდვინ,
ჭვრეტითა ველარ სძღებიან.
აქ ვერ ჰპოვებდით ვერარა
გარყვნილ გულისთქმათ ძგერასა,
ჩვეულებრივ წრეს გულს რო ჰღრღნის,
ემზგავსის შავ-კლდის ძერასა,
უმანკოთ ღიმი—კისკისი
ერთობ აკვირვებს ყველასა,
იფიქრის, იქნებ სიზმრად ეარ,
ოცნებით ვფრენო ზეცასა.
შეწიდნებამდე ვნებასა
ძალად უკრავდენ ორთავ ფრთას,
გოგო ბიჭს მკერდზე ეკვრება,
ბიჭი მის ძუძუს კორფა თავს;
სხვაფრივად სდუმან არშიყნი,
არსად დასძვრიან ავად ხმას,
მხოლოდ რა კორწილს მოუწევთ,
ერთურთს უხდიან ტრფობის ალს.
ფრიად გაოცდის მნახველი
ამ ქალწულების მჭვრეტია,
უცხოდ მოსული პირველად
შეჰყურებს ვითა შტერია,
არ სჯერა გონის საზომით,
(ან კი რა დასაჯერია?)
უცხო ვაჟს უცხო შავ-თვალა
ვით ძმას და როდის სჯერია?

II

ამბობენ იგი სამთავრო
ეკუთვნის მეფეთ-მეფესო,
თვისი სიუხვით ავსებს
ერთგვარად ქვეშევრდომთ ჯიბესო,
თვით მხვნელი არის, ყველასთან
ერთად ჰხნავს, ერთად ჰმკის, სთესსო,
ყველა ერთს ღმერთზე ლოცულობს,
ერთს საწირავსა იღებსო.
მაგრამ უმთვრეს სამკაულს
შეადგენს მეფის ასული,
იგი წმიდანად ყველას სწამს,
წმიდანადვე ჰყავს დაცული,
მათ სიამაყე იგია,
ვითა გოლგოთას ჯვარცმული,
მას ჰსასოებენ, იგია
მათი აწმყო და წარსული!
სიტურფით ნეტა რით დარჩის
რუსთაველის თინათინსა?
კუნაპეტ თვალ-ტბას, ხშირ წამწამს
სახე მაუგავს მინასა
მზიანა ჰქვიან სახელად,
სჭვრეტთ, ვით მლოცველ ბავშვს წმიდანსა,
კისკისებს, ცრემლი ღაწვს მოსხლტის
ვით ნამი დილით ცის ვარდსა.
ჯეირანთ ეარშიყება,
ველსა თუ მინდვრად კორდის პირს,
მთებში თან მისდევს მწყემსადა,
უკრავს დრიადას ხმა-ტკბილ სტვირს,
ხან ვარდს დაჰკოცნის, ეხუტვის,
შეჰხარის მაყვალს, იქ—ასკილს,
შიშველ მუჯს დაჰფენთხს მათ ფოთლებს
და ჰხვრეპს მათ ცვართა მარგალიტს!
ხან ვერცხლის ტბაზე გამორბის,
შიგ იხედება წონებით,
ეკეკლუცება თვის სახეს
ცელქი პატარას გონებით,
ხან თვის ანარეკლს დაუშენს,
სარკეზე ლელის კონებით,
რა დაიღლების შინ მიდის
ერთ წამად გრძნობათ ღონებით.
ბუნება თვითვე ენუკვის,
ზამთარ-ზაფხული მალხაზი,
ეთერის ქროლვით ესხმება
მხრებზე ამურის ფრთა ნაზი,
თვით გაზაფხული ქედს იხრის,
სახელ განთქმული, ლამაზი,
ბაზმას თვით ზეცა დაუკმევს,
ღვინოს—ქალწული და ვაზი.
ძილი, ვაჰ, ძილი, ნეტამც თუ
მზგავსს ნახავს მოკვდავთ თვალია,
თვით ჰარმონიას შეიმოსს,
ხელთ აქვს ზეარსი ძალია,
ფშვინავს ვით ჩვილი ფუნთუშა,
პირს ღიმი დაჰკრთის მკრთალია,
იდაყვით ძუძუს ღიტინს ჰკლავს,
ტკბილი ზმანებით მთვრალია.
მას ქერუბიმი ფრთა-აშლით
თავს დაჰქათქათებს კრძალვითა,
ხან ჰშურს მის გედის სიტურფე,
სულ უკან დასდევს მალვითა;
ხან და ჰგონია ნაზობი
მადლიერ ზეცის მამითა;
ხან თითქოს შეუვარებული,
ვის შერთვას ელის ნატვრითა.
მეფე ილხენდის ასულით,
ასული კიდევ—მეფითა,

რომ ტყავს გავაძრობ მაგასაც და მიკირტუმსაც. ეხლა ჩვენი ურმები არ გამოგზავნოს—შენი წამოსვლისთვის იქნება საჭირო, არამედ ხიზნებს გამოაყვანინოს ხარკამეჩები. თუ გაჯანჯლდნენ, ეგრე უთხრას ჩემ მაგიერ ღმერთს შეატირებს თქვენ ოჯახებსათქო.

ჩვენი ეტლი აქ საყოლათ არ ვარგა. ჩემი ძალუა, კნეინა სოფიო მევაჭრებოდა კარეტას მოგყიდიო სამას თუმანს მთხოვდა, მე კი მაშინ ორასზე მეტს არ ვაძლევდი. მიეცი ორას სამოცაც—დაგეთანხმება უეჭველია. მარა ჯერ იყიდე კარეტა და მერმე უთხარი ჩვენი ამბები, თორემ შვილებს დააწინდებს და კარეტას კი არ მოგვყიდის. გიორგის უთხარი ენკენისთვის დამდეგისთვის დაამზადოს თუთხმეტი ურემი სანოვაგე: ასი ხბო, ორასი კრავი, ქათმები, იხვები; ცხენებს კარგათ მოუაროს. რვა ცხენი უნდა წამოგვიყვანოთ. ბიჭებიდან სესიკა, ნინია, კოსტა-თუში, ზურაბა, ლევანა, ორივე ძმები ჩოგონაშვილი და სიმონა ხახულას შვილი წამოსაყვანათ მოამზადეთ კარგათ, ტანით და ფეხით, რომ აქ თავი არ შეგვირცხვინოთ. მზარეული სოფრონა წამოვა და მასვე უბძანეთ ორი აირჩიოს დამხმარეთ, რომელიც ერჩიოს. ისინიც კარგათ გამოაწყვეთ. ქალები შენი საქმეა, ვინც სჯობია ისინი წამოიყვანე. გადიაჩემი კი უსათუოდ წამოიყვანე; აქ ქალაქში ბიჭები სულ ვერანდებიან და ეგ მაინც თვალყურს დაიჭერს. ზალიკამაც კი დამიწყო აქ ცუღლუტობა. მანდაურებს გოგიაც უყოფა.

ასე ათს ენკენისთვეს ძალიან ადრე გამოემგზავრე კარეტით. ერთი ბიძა შენთან გაითენე, მეორე გაიოზ ბერთან და მესამე დღეს თუ ქალაქს ვერ მოაღწევ მცხეთის მონასტერში დარჩები. ქალბატონ დედას ხელს ვეამბორები; კნეინა სოფიო, ჩემი რძალი მომიკითხე თავ-მდაბლათ. ლევანს, გადიას, გოგის ჯალაბსა და მსახურთ სალამი უბრძანე.

შენი ხილვის მოუთმენლად მომლოდინე

თავადი გიგო.

გვარი ისეთი ხვეულის ხელით არის ნაწერი, რომ ვერ ამოვიკითხე.

წერილის ბოლოში მეორე გვერდზე ნაძალადევის რუსულით მიწერილია.

საყვარელო ძალუა კატო!

ნიკო ჩემის გაჭირვების გარდა ყველაფერს მოგწერდა. ათასი ხარჯები მაქვს. ჩემი ძმა არის და უფროსი ვასო ისე იჭერს თავს, რომ ნახევარს ვერაფერს ვეუბნები. ვიცი შენი კაი გულის ამბავი და ამიტომ გულახდილათ გწერ, შენი ჭირიმე, ჩემო კატო, ჩემი სამივე ცხენი და წისქვილი თავისი ადგილით გამიყიდე თუ კიდევ ზედ რასმე დაუმატებ და გამომიგზავნი შენი ყმა ვიქნები საუკუნოდ, როგორც წინადვე ვიყავი. ისინი ხომ საკუთრივ ჩემია და ბატონი ვერაფერს იტყვის—შენ მაინც რას გეტყვის. მეც კაცი ვარ და ცხოვრება მინდა. აბა რას იცხოვრებ კაცი იმ ფულით რასაც ნიკო მაძლევს; ერთი დეზი რვა მანეთი ღირს, ერთი ქუდი თუთხმეტი მანეთი. მეტი ქაღალდიც აღარ რჩება დასაწერი! აბა ვრჩები შენის იმედით შენი მდუგარული ძმა სიკო.

ავხედე ბიუსტს ისევ ის ლმობიერი სახე, ისევ ის წყნარი და მშვიდი ქალი გადმოიყურებოდა სევდიანის თვალებით. ისევ ღიმი კრთოდა ტუჩებზე:

აი, შვილო, თითქოს მეუბნებოდა უსიტყვოდ ქალი. აი პატარა სიკო, რომელსაც შვილსავით ვზრდიდი და უმანკო იყო ნამდვილად ვიცი როგორც ქალწული. აპირებდა მოტყუებას, ისე ვიყავით ყველა მოტყუებული. ყველა თითქმის ვგრძნობდით, თითქოს ვხედავდით, გამოურკვეველ ქსელს, მაგრამ მაინც ვემბობდით მახეში. მაშინ არ გამიყიდნია არც ცხენები, არც წისქვილი, ფული კი გაუგზავნე პატარა სიკოს მისი რვა-მანეთიანი დეზებისა და ხუთმეტ მანეთიანი ქუდისათვის, მაგრამ მაინც ყველაფერი მალე ჩემი მახსოვრობაშიაც ეტყობოდა. არც წისქვილი, არც მამული, არც ღედული აღარ ეკუთვნოდა დიდის ხნით ჩვენს გვარს.

ნ. ლორთქიფანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი წინწკარსა დაუკრავს,
სულ ფეხ და ფეხ სდევს მღერითა:
ილაღვინ, გაიხარვიან,
სტკბებიან ერთის ლხენითა;
ზეცამან მოსცა ერთობა,
დაჰლოცა შვების დღენითა.

III

მაგრამ ხომ ტანჯვათ გამოცდა
ყველას თავს დანაწესია:
ღვარძლი, ეკალი იქ მოდის,
სადაც რომ ყანა სთესია,
თუ კეთილს ელი, იქ მოვა
ბოროტი, უმზგავსესია,
ამა კანონსა ვერ შესცვლის,
ვერც ერთი ქვეყნის მესსია!
ხომ ძველის ძველად ელლადა
იცნეს ღმერთების ქვეყანად,
სად აფროდიტა ბრწყინავდა,
სიმბოლოდ, ზეარს ხატებად,
ნიმფნი წყაროში სცურავდნენ,
თმებს ჰშლიდნენ ნავთა აფრებად,
ცით აიაზმას ჰზიდავდნენ
და ვარდს აფრქვევდნენ ნამებად.
იმ დროს ჰერკულეს გმირთ-გმირი
ვვიდოდა ლომის ტყავშია,
აღმოსავლეთი დასავალს
შეჰხლართა მოკლე ხანშია,
ბილწებს ერთმანეთს აწყვეტდა,
დასცხებდა ბერკეტს თავშია,
და დაჩეჩქვილსა მათ ლეშსა
ისვროდა ხევს და წყალშია.
და ის, რაც რომ დღეს ჩავკალით,
იქ უჩნდათ წმიდა—წმიდათა,
დღეს ნანგრევებად მოსჩანან,
რაც მათ აშენეს მკვიდრათა,
პრომეთე მწვერვალს გაეკრა
ყვავ-ყორანთ დასაკორტნათა,
ძველი მსოფლიოს აკვანი
მოსტირის ობოლ-ოხრათა.
გვახსოვს აგრეთვე ლუკრეცი,
მისი ობოლი ცრემლია,
ნაზად ნაფურჩვნი, ნაშალი,
ნორჩთა გულისა მწველია;
მაგრამ ის ცრემლი, დღეს ვხედავთ,
კლეოპატრასაც სდენია,
ბრუტოს ხომ ცნება „სიკეთე,“
მხოლოდ სახელად შთენია.
ხომ გვახსოვს ხანა ბარბაროსთ,
როს მცნებათ სხივი აცისკრდა,
ფარისევლობა შეძრწუნდა,
სიწრფელე შვებით ასტირდა,
აღზდგა ლაზარე, მაგრამ მყის
ძველ საფლავს ხელი წაჰკიდა,
და ქალწულება მძრწოლავი
სულ უცნობ მხარეს გაჰფრინდა.
ხომ ბუდდა, თუნდ თვით ქრისტე
დიდება-მკვდარნი დაკნინდნენ,
მათ გვამს უხეში ტლანქ ხელით
უცნობს ადგილში ჰმარხვიდნენ,
სიცოცხლის წყაროს მათ ნაპოვნს
სათავეშივე ჰსწამვლიდნენ,
და სითბოს ნაცვლად მსოფლიოს
მძრწოლავი ქარით აღძვრიდნენ!
ხომ მთლად სძარცვავდნენ სიწმიდეს
სწვამდნენ მთელს ღვთაებრიობას,
დემონი მჭექავ ხარხარით
თავს ჰფრენდა კაცობრიობას;
განჰქრა სიპოხე დამბადი,
ჰარჩა დრო უნაყოფობას,
სიბერწეს, თესლთა სიმწირეს,
კნინებას, უარყოფობას!
მღვიმედ კი ამ დროს ლაღადით
კვლავ ზეკაცობას გვასმენენ,
გესლით აღსავსე ფიალას
დამცინავ სახით გვასმევენ;
ოჰ, კაცუნები ვით აღზდგნენ,
ჭინჭველნი ფრთებს ვით ისხავენ!
ოჰ, ქალწულებას ვით სთელვენ,
ვინ ვის ჰყვედრიან, ჰკიცხავენ!
ხომ იყო... დიახ, იყო რამ,
არის, კიდევაც იქნება,
ერთი რომ შესცვლის მეორეს,
მას სხვისი შეეშინდება,
აღმართ-დაღმართი, დღე-ღამე
განა როდისმე ილევა?
ზამთარს ზაფხული რომ დასძლევს,
ის კვლავ ზამთარით იძლევა!
და მათ ბედსაცა ბოლომდინ
ვერ შერჩა მუდამ დარია:
შევხედოთ, უცბად ჩამოჰკრეს
სამგლოვიარო ზარია,
ყველა შეკრთების და იტყვის:
„რა მოხდა? რა ამბავია?“
მუნ სამოსელსა იხევდინ,
ენგრევათ სალოცავია!..

IV

თურმე გრიგალი ავარდა
ჩრდილოეთისა მხარესა,
ცეცხლი აწვიმა, მოსწყვიტა
მუხა ასწლოვან ძარღვებსა;
ვეშაპი მოჰქრის ათთავა,
იგი იქმოდის ნავნებსა,
დალებულ ყრანტით მოაფრქვევს
ბოლსა და კორიანტელსა.
ზურმუხტის ბაღი ცეცხლის ზღვამ
წაჰლეკა, გაატიალა,
ყველა შეჰბოჭა, შეასვა
შხამით პირსამსე ფიალა;
აღმართი ჩოგანს წამოსდო,
თავდაღმა დაატრიალა,
და უმზგავს ბილწი გულთათქმის
დროშა მყის ააფრიალა.
შეიქმნა ხმა და ძახილი,
არწივთ დალესეს ბრჭყალია;
მაგრამ ვეშაპით იძლიენ,
ვით ტარბის მიერ კალია;
წალკოტი იქცა ჭაობად,
ასცენდა ნარეკალია;
ხარკად დაედო სამთავროს:
მიჰგვაროს პირმშო ქალია.
შეძრწუნდის ყოვლი, უგზავნის
ხარკმდებელს თავის ქალწულსა,
მშობელთ თვით მიჰყავთ ბუდემდე,
ცრემლით ატანენ თან სულსა;
ხოკვით თმას ჰშლიან, ტანთ იგლეჯნ,
ჰყვედრიან მაღლა ჯვარცმულსა,
საცაა ჯერი ეწვევა
მალე თვით მეფის ასულსა.
მეფე შეძრწუნდის, რა ესმა
ესე ამბავი საზარი,
ყურთ ესმის აგერ მფრთქვინავი
ვეშაპით მიწის ზანზარი,
მზიანაც მდუღრად თავს დასტირს,
ცრემლი ღაწვს დასცრის ნამწვარი,—
ეჰ, დრო ეცვლება პირით მზეს,
დაუდგა კარზე ზამთარი!—

V.

ტურფა კარავი გაშალეს
თალხებით შემოსილია,
ოქროს ქსოვილსაც შავი სძევს,
ვით მდელოს შავი ნისლია;
ჰირს დაუზიდავს სამთავრო,
ვით ქარბუქს ტბის პირს ისლია,
მეფეც სდუმს სახე დაღრეჯით,
მსოფლიოს ვიში მისია!
იქვე მზიანა ლალს აბნევს,
ხშირ წამწმით ცრემლად ნადენსა,
შეჰხედოთ—იტყვით, მოანთებს
შუქური ღრუბლით კანდელსა;
ჩრდილი კარავად დასდგმია,
მის დალალ-კავთა ნადებსა;
ბყრილი ტანით, ვიშ, უმზერთ,
ვით ალვას ქარით ნარხევსა!
ნეტა ვინ არის, ვის ძალუძს
დაიხსნას მეფის ასული?
მზიანა ცოლად მას ერგოს,
ვისგანაც იქმნეს დაცული,
ესაა ნება მეფისა,
მისგანვე ბეჭედ-დასმული,
მაშ, აბა, ბიჭი გამოჩნდეს,
მოედნის აბჯარა-სხმული!
მეფე მოელის პასუხსა,
ვით იმედის სხივს ცისასა,
მაგრამ ყველა სდუმს, თითქოს რო
დაეხშოთ მგრგვინავ რისხვასა;
მეფე ასტირდის, ქარს ატანს
ნაზღვენს თეთრისა თმისასა,
მაგრამ, ჩუთ!..ვაჟი ბრბოს არღვევს,
ცას სტყორცნის მარჯვედ ისარსა!
ნება შესთხოვა ბრძოლისა,
უცხო ყრმამ მეფეს დაბლადა;
ბიჭია ვარსკვლავ ნაწყვეტი,
სანახი თვალად, ტანადა,
ულვაშნი ახლად აჰყრია,
ჰშვენიან პირმრგვალს მწვანადა,
მზიანამ თვალნი რა შეჰკრა,
სტოკდა მის ჩასაკრავადა!
„მეფეო,—ჰკადრა,—მე მივალ,
შევებმი მძვინვარ მტერსაო,
ან გავიმარჯვებ, ან კიდე
ნუ ვნახავ ნათელ დღესაო.
წავალ, თამამად ისარს ვცხებ,
გულს დავცემ დაშნას მჭრელსაო,
სისხლით ავუვსებ საბუდარს
ჩვენ ასულთ სისხლის მსმელსაო.
„შეიშრე, მეფევ, ცრემლები,
ასულიც ნუ სცრის ლალსაო,
თვით მდევიც ვერას დააკლებს
თავგანწირულსა ყრმასაო,
ღმერთი თვით გამსჯის, თუ კი ჰსურს
აქაც მომაგებს ავსაო,
მაშინ ულვაშნი ნუ მაქვნდეს,
თუ მნახავთ ბედით მხდალსაო!“
მეფემ თვალთ ცრემლი იხოცა,
დაჰკოცნა ჭაბუკს გულითა,
ლაღობს ყრმაც, მხოლოდ მის გვერდით
სხვები უმზერენ შურითა,
დაჰკრეს ნაღარა-დაფდაფებს,
ასტყდა ხმა აბჯარ-შუბითა,
მზიანა გულში მას ჰლოცავს,
ულიმის მზისა შუქითა.
„რახანც ასეა,—რქვა მეფემ,
ღმერთი გწყალობდეს მაღლითა,
ჩემს ასულს ახლავ გილოცავ,
ქორწილს გადგიხდი ამბითა,
მოხვიდე, მეჯლისს გახვედრებ
წინწკართ ხმებით და დაფითა,
შუბლს თვით მზიანა შეგიმკობს
ახლად დაკრებილ დაფნითა.“
შემდეგ აკურთხა ყრმა იგი,
პირს ღიმი მოეფინება,
მზიანას კოცნა აღირსა,
ბევრი არ ათხოვებინა,
ბიჭიც გალაღდის, კაზმული
მერანით მოედინება,
შემდეგ დეზს გაჰკრავს, გაჰქროლავს,
მას თან სდევს ტურფას გონება!

VI.

მოდის ჭაბუკი, მოაფრენს
ტაიჭსა ფეხმალ-ფრთოსანსა,
ცა პირმცინარებს, ენუკვის,
თან ატანს ფრინველთ მგოსანსა;
ვაჟიც მოარღვევს მდელო-შამბს,
უცინის ვარდსა, სოსანსა,
ბრძოლას მოელის ვეშაპთან
თავისა მოსაწონარსა!
სამ დღის უწყვეტმა მგზავრობამ
მას მოაწყურა წყალია,
უდაბნოს რაშსა დასცვივდა
ალმას ნაჭედი ნალია.
ცამ დაიქუხა მრავალჯერ,
გრიგალით გარდმავალია,
წვიმა კი არ სჩანს, წყურვილით
დაშთვების ორთავ თვალია.
მოჰყვა ჭაბუკი წყლის ძებნას,
შეჰნიშნავს შორით მცენარსა,
მისკენ დეზის კვრით თავს მოსწევს
ყალყზე შემდგარსა მერანსა.
მივა, მუნ ჰპოვებს წყაროსა
ფესვებში ამომდინარსა,
მის მახლობლად კი ქვიშნარში
კლანჭ წაფლულ ლომსა მძინარსა!
მშიერი ლომი ძილშიაც
ღრენით ჰბერავდა ნესტოებს,
გრილ ქვიშით გულსა იქარვებს,
ისველებს დამწვარ სქელ-ტოტებს,
მაგრამ ჩუთ! რაღაც იყნოსა,
ღრიალით წყაროს მისტოვებს,
ცეცხლმოდებული კამარით
გადაევლება ბზის ტოტებს!
მაგრამ მყის დასცხრა, რა იცნო,
ვინც არის, ან რის მდომია,
ნაწრეტ სათავეს დაუთმიაბს.
არ არის მხედრის მგმობია,
ჭაბუკიც მადლსა გადუხდის,
რაშს წყალი ასვა შმორია;
შემდეგ შეხტების, გაუდგის,
გზა მოსჭრას ისეც შორია.
თვალს გაადევნებს ცახცახით,
ომის მოყვარე ლომია,
შეჰნატრის ჭაბუკ მხედარსა,
იცის: მოხდება ომია.
თვის მსგავსის ლაღის ფარ-ხმალის
გამარჯვებისა მნდომია.
მერანიც მიჰქრის ღელეში,
მიჰგოგავს, ვითა გნოლია!
გამვლელნი გზადა იტყვიან,
ვინ არის ეგე ვაჟია?
ვარსკვლავთ რო ეთამაშება,
გული აქვს ვითა კაჟია?
მასთან აქვს საქმე, ვინცა რომ
დააღვა მის ძმათ ზაჟია,
რო გამობრუნდეს, ხომ მოკვდა,
გულს ჩამოუდნობს ჟანგია.
აგერ, საცა მივა იქ,
სადაც ვეშაპი მძვინვარებს,
ერთიც და მისი მერანი
ნაპერწკლებს აჰყრის თვის ნალებს,
ნისლი მომდგარი შავი ტბის
შეაყრის სახეს ცივ ნამებს,
ახ, თუ რომ ქუდი ახურავს—
თვის ბედსა არად ინანებს!
აგერ, შორითვე იყნოსა
ჭაობის სუნი მყრალია,
რაშს შეაყენებს, აიხსნა
დაშნა, ლახტი და ხმალია,
მოიმარჯვებდის საბრძოლად,
ეს ხომ იმისი ვალია.
შემდეგ დეზი ჰკრა, გაფრინდა,
ვითა ეთერი მალია.
წამიც და მალე შეებმის,
ომი დადგება მძლავრია.
თავს რას ინაღვლის, იცის რომ
ყოვლი აქ მყოფი მკვდარია.
მაგრამ სახელი მას ულირს,
როგორც სამოთხის კარია,
თითქოს ბუნებაც ხელს უწყობს,
ჯერ მის მხარეზე დარია.

**დ. კასრაძე.**

(შემდეგი იქნება)

## თავ. გ. ი. ამირეჯიბის საქმე.

ამ დღეებში თბილისში გამოვიდა ერთი ალმანახი, სადაც დაისტამბა ექვსი პირის წინააღმდეგ წერილი, რომელსაც არა-საკადრისი გალაშქრების ხასიათი აქვს. ამ წერილმა აღელვება გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. ერთმა შეურაცხყოფილთაგანმა გ. ი. ამირეჯიბმა მოისურვა მედიატორეთა სამართალში გაწვევა იმ წერილის ავტორისა.

ახლა იმ წერილის პასუხის მგებლობა იკისრა სვიმონ ყიფიანმა, რომელმაც სახალხო გაზეთში დასტამბა შემდეგი ღია წერილი:

**თავ. გიორგი როსების ძე ამირეჯიბს.**

რადგანაც მე და თქვენ შორის მომხდარი ლაპარაკი საზოგადოებაში გავრცელებული არა იმ სიმართლითა და სისწორით, როგორც ეს ნამდვილად იყო, ამიტომ ამ წერილით გაუწყებთ შემდეგს: ალმანახ „შუქ“-ში მოთავსებულ წერილების პასუხის მგებელნი ვართ ყოველგვარ შემთხვევაში მე და ექიმი ნესტორ მიხეილის ძე კლიმიაშვილი.

**სვიმონ ვასილის ძე ყიფიანი.**

ამ წერილის საპასუხოდ იმავე გაზეთში დაისტამბა შემდეგი:

ამ უკანასკნელ დროს გამოსულ ერთს კრებულში დასტამბულია ვრცელი წერილი, სადაც მე ავად ვარ მოხსენებული.

რადგანაც მე „ფაქტებს“, რომელიც მოყვანილია ამ წერილში, ვსთვლი მტკნარ სიცრუედ, ამისათვის მოვითხოვ საამხანაგო საჯარო სასამართლოს და ჩემის მხრით ვასახელებ თ. იოსებ ალექსანდრეს ძეს ბარათაშვილს, თ. ნიკოლოზ მერაბის ძეს ლორთქიფანიძეს და თ. გრიგოლ ნიკოლოზის ძეს დიასამიძეს.

ჩემი პიროვნების გამაწბილებლებისაგან სამი დღის განავლობაში ველი თავიანთ მოსამართლეების დასახელებას.

**თ. გ. ი. ამირეჯიბი.**

ტფილისი, 1 ივნისი 1911 წ.

გ. ამირეჯიბის მიერ დასახელებულ მედიატორებში ბ. გრ. დიასამიძემ უარი სთქვა მედიატორობაზე და შემდეგი წერილი დასტამბა „სახალხო გაზეთის“ 3 ივნისის ნომერში.

**თავ. გ. ი. ამირეჯიბის წერილის გამო.**

ბ. გიორგი!

გუშინ თქვენ დამასახელეთ თქვენს მედიატორედ. მე ვერ ვიკისრებ ამ მძიმე მოვალეობას იმიტომ, რომ თქვენზე ნაკლებ არა ვარ აღშფოთებული იმ წერილის შინაარსით. ამგვარ გალაშქრებას ვთვლი იმ უკუღმართ მიმართულების შედეგად, რომელიც მიიღო ამ უკანასკნელ ხანში საჟურნალ-გაზეთო პირადმა კამათმა. ჩემი უკმაყოფილება და აღშფოთება უკვე გადავეცი იმ წერილის ავტორს, რომელმაც ეტყობა არ იცოდა, თუ რას სჩადიოდა. ნუ თუ ვერ წარმოედგინა, რომ ამ წერილის დასტამბვით იგი უწევდა სამსახურს და უჭერდა მხარს იმ სათავად-აზნაურო დაწესებულებას, რომლის მოქმედება მას თვითონ არ მოსწონდა, რაც არა ერთხელ ჩემთვის გამოუთქვამს. მით უფრო გასაკვირალია მისი მოქმედება, რომ იგი აპირებდა თვითონ ჩემთვის იმ მასალის გადმოცემას, რომელიც უტყუვრად დაამტკიცებდა, რომ ამ დაწესებულებაში ჯამაგირიანი თანამდებობათა აღმასრულებელნი სულ ტყუილა-უბრალოდ იღებენ ჯამაგირს. ამის გამო მის გამოლაშქრებას არ შეეძლო არ გავეოცებინე, ამიტომ დიდ ხანს არ მჯეროდა მისი ავტორობა. მე დიდი მომხრე ვარ მრუდედ მომქმედ საზოგადო მოღვაწეთა მხილებისა, ხოლო არა მრწამს, როდესაც ეს მხილება არ არის დამყარებული გარჩეულ შეურყეველ მასალაზე და მხილებლად გამოდის კაცი, პირბადე ჩამოფარებული.

თქვენ გიცნობთ პატარაობიდანვე. თქვენს პატიოსნებაში ეჭვი არ შემიტანია. დღემდის არც შერყეულა ჩვენი პირადი მეგობრული განწყობილება მისდა მიუხედავად, რომ რწმენის მხრით განსხვავდებით. ვერ წარმომიდგენია, რომ თქვენ ჩაგედინოთ ის, რასაც გაწერთ არა საკადრის წერილის ავტორი. ყველა ამ მიზეზის გამო და მით უფრო იმიტომ, რომ ვერა ვგრძნობ იმ წერილის დასტამბვის შემდეგ სულის სიმშვიდეს, იმედი მაქვს, გამანთავისუფლებთ დაკისრებულ მოვალეობისაგან.

რაც შეეხება თვით წერილის შეფასებას საზოგადოებრივი აზრის მხრით, ამის შესახებ „თემში“ დაისტამბება წერილი, სადაც იგი გარჩეული იქნება მიუდგომლად.

თქვენი მარად პატივისმცემელი
**გრიგოლ დიასამიძე.**

გ. ამირეჯიბმა „სახალხო გაზეთში“ ამის შემდეგ გამოაცხადა, რომ მან გრ. დიასამიძე გაანთავისუფლა და დასტოვა თავის მხრით მხოლოდ ორი მედიატორე, წინად დასახელებული.

რადგანაც ჩვენი საზოგადოება ამ საქმით დაინტერესებულია, ამიტომ ჩვენ ყველაფერს დაწვრილებით დავსტამბავთ ამ საქმისშესახებ.

სასურველია, როგორც გ. ამირეჯიბს მოუსურვებია, საამხანაგო სასამართლოში საქმის გარჩევა მოხდეს საჯაროდ. ჩვენ ჩვენის მხრით გამოვსთქვამთ სურვილს, რომ საჭიროა მეტი სიმშვიდე და სიწყნარე, რომ ჭეშმარიტება მთლად გამოირკვეს.

ეგებ მაშინ მოისპოს ჩვენში არა-საკადრის წერილების წერა და ერთი ერთმანეთის პიროვნების შებღალვა.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

განცხადება

რჩეული

პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები იაკობ გოგებაშვილისა. ტომი პირველი. წიგნი დიდი ტანისაა, იპყრობს 560 გვერდს წინასიტყვაობით შეიცავს ას სტატიას საჟურნალოს და საგაზეთოს ღირს ერთ მანეთად. ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში და ყველა პროვინციალურს განყოფილებაში „წერა-კითხვის საზოგადოებისა.“

იჯარით იძლევა

თავად ციციშვილების მამული „ზემო-საციციანოს-მთა“ მდებარე თბილისის გუბერნიის სამ მაზრაში: თბილისისა, გორისა და ახალქალაქისა. მამული შეიცავს დიდ ტყეს, საძოვარს, სახნავ-სათესს, სათიბს ადგილებს, წისქვილებს, ბაღებს, დასახლებულ სოფლებს და სხვ. ზომით არის დაახლოვებით 65.000 დესეტინა.

დაწვრილებითი ცნობების შესატყობად უნდა მიჰმართონ: სოფ. ქარელს თავ. ციციშვილების კანტორას.

ამხ. მ. ლაღიძის და კომპ.

ხელოვნურ მინერალურ, ხილისა და სამკურნალო წყლების ქარხანა.

თფილისი, გოლოვინის პროსპ. 6. ტელეფონი № 441.

ეს წყლები კეთდება განსაკუთრებით ბუნებრივ, ქიმიურად გაწმენდილ და არჩეულ ხილის წვენიდან და თვით წყალისრულიად განწმენდილი და გამოხდილია.

წყალი კეთდება მანქანა ვაკუმით სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.

მომხმარებელთ შეუძლიანთ დარწმუნდნენ, რომ ჩვენი წყლები მშვენიერი გემოსია და კეთილი სუნნელებისაა.

თფილისის გუბერნიის გამგეობის საექიმო განყოფილების შემწეობით დამტკიცებულია, რომ ჩვენი ფირმის წყლები არის

ყოვლად კეთილი თვისებისა

ვაფრთხილებთ მკითხველებს, რომ ზოგიერთი ვაჭრები სხვა ქარხნების იაფ წყლებს ჩვენს წყლებში სცვლიან.

ყველგან წყლები მოითხოვეთ მ. ლაღიძისა და კომპ. ამხან. ქარხნისა.

ყურადღება მიაქციეთ ბოთლის სცობს, რომელსაც ასვია ჩვენი ფირმის დაღი.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლების კარგი თვისებისათვის ოქროს დიდი და ვერცხლის მედლებით.

ფირმა „ნ. ლზოტაკი.“

თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 38. „რაზგონი“ ფოშტის პირდაპირ.

ველოსიპედები, მოტოციკლები, პატეფონები,

ავტომობილები, ფირფიტები, სასრიალოები, ლაუნ-ტენნისი, ფუტბოლი საკერავი მანქანები, ელექტრონის ზარები. ყველა ამაების საჭირო ნაწილები და კუთვნილებანი. ავტომობილებისათვის ზეთი და საცხებელი.

პირველხარისხოვან ფაბრიკების სავაჭრო. ფასები კონკურენციის გარეშე.

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ შეძლება.

კატალოგები უფასოა. ნაქონი ველოსიპედები 25 მანეთიდან.

ბუ ჩ ძე, სტეფანოვი და კომპ.

დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების შემდეგი გამოცემანი:

ზაქ. პ. ფალიაშვილის:

№ 1 „მრავალ-ჟამიერ“: მგოსნის აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეს გამო ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს აკკომპანიმენტით ფასი 30 კაპ.

№ 2. ორი ქართული რომანსი: ა) „ნანა შვილო“ ფასი 40 კ. და ბ) „ახალ აღნაგო სულო“ ფასი 40 კაპ.

№ 3. „ქართული საეკკლესიო საგალობლები“ (ქართლ-კახური კილო) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფასი 1 მ. 25 კ.

№ 4. რვა ქართული სახალხო სიმღერა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპ. აკკომპანიმენტით ფასი 1 მან.

№ 5. ქართული სახალხო სიმღერების კრებული (იმერული, გურული, რაჭული სვანური და ქართლ-კახური), ფონოგრაფის შემწეობით ჩაწერილი. ფასი 1 მ. 50 კ.

იყიდება ყველა სამუსიკო მაღაზიებში

და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და „Новая Рѣчь“-ში (გოლოვინ. პრ. მირზოევის სახლი), ქუთაისში: წიგნის მაღაზიებში: თ. მთავრიშვილისა და ძმ. მირაქოვებისა. მთავარი საწყობი ტფილ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გამგეობაში (საპიორის ქუჩა № 18.)

წიგნის მაღაზია

„ნოვაია რეჩ“ [ახალი სიტყვა]

ი. დ. კიკნაძისა.

მაღაზია მუდამ იღებს ახლად გამოსულ წიგნებს. არდგენს საჯარო, საყმაწვილო, სასკოლო, საფაბრიკო ბიბლიოთეკებს და სხვ. სხვა ადგილებიდან დაბარებას ორი დღის განმავლობაში ასრულებს მაღაზია. თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირზოევისა, № 22.

თფილისის ოლქის სასამართლოსთან დაარსებულია ნაფიც ვექილებისა და მათი თანაშემწეების

კონსულტაცია

ძლევენ რჩევას სიტყვიერათ და წერილობით, აგრეთვე არდგენენ არზებს, საჩივრებს და სხვა საჭირო ქაღალდებს.

ღიაა ყოველ დღე, უქმეების გარდა 10 საათიდან დღის 2 საათამდე.

ღარიბებს ფული არ ერთმევათ

ახალი წიგნების ბიბლიოთეკა

სასახლის ქუჩა, თავადაზნაურობის სახლი, ეზოში, მეორე სართული, მარჯვნივ № 126.

ყველა ახალი წიგნი რუსულ ენაზე შეიძლება დაიკვეთოს მსურველმა წასაკითხად.

| | |
|---|---|
| სამი დღით | 10 კაპ. |
| ერთი თვით | 75 კაპ. |

ბედ უნდა დასტოვოს წამღებმა 1 მან.